ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი   სამშაბათი 4 აგვისტო 2004 №178 (2199)   ფასი 50 თეთრი


# თქვენ შემოგყურებთ ერი და ბერი





# ქართველი ოლიმპიელები დააფიცეს, დალოცეს და დამოძღვრეს



# თქვენ შემოგვყურებთ ერი და ბერი
# ოლიმპიელების დოპინგი სააკაშვილია

ATHENS 2004

გუშინ ოლიმპიურმა ხუთმა რგოლმა გააერთიანა არა მხოლოდ საქართველოს ოლიმპიელები, არამედ მათთან ერთად ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II, საბერძნეთის ელჩი საქართველოში კონსტანტინა მაურასკელიდო, იაპონია-საქართველოს მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტი კოჯი ოსავა და სხვაც ბევრი. მათ ყველას ოლიმპიური დღე ჰქონდათ და მათთან ერთად ტელემაყურებელსაც, რომლებიც თვალს ადევნებდნენ რეპორტაჟებსა თუ ცხელ-ცხელ ამბებს ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მუზეუმიდან, საპატრიარქოდან, კანცელარიიდან და „შერატონ-მეტეხი პალასიდან“, სადაც ამავე თანმიმდევრობით გაიმართა ჩვენი სპორტსმენების სტუმრობა, რომლებიც ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის საჩემოდნო გუნება-განწყობაზე არიან.

ახლა გვახსენდება ჩვენი ოლიმპიელების ოთხი და რვა წლის წინანდელი საოლიმპიადო შეხვედრა — გაცილებები და იქიდან დაბრუნებულთა მიღებაც.

ოთხი წლის წინ სიდნეის ოლიმპიური თამაშებიდან ექვსი ბრინჯაოს მედლით დაბრუნებული ჩვენი დელეგაცია ედუარდ შევარდნაძემ რომ მიიღო, თქვა — მომდევნო, ათენის ოლიმპიური თამაშები იმ დროს ემთხვევა, როცა მე პრეზიდენტობას ვამთავრებ. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ წელგამართულნი ვიყოთ. გამოვნახავ იმის დროსაც, რომ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მეც წამოვიდეო.

მაგრამ, ვინ აცალა პრეზიდენტობის ვადის დამთავრება — რაკი წელგამართულობისა ჩვენ არაფერი დაგვეტყობია, პრეზიდენტად სხვა — მიხეილ სააკაშვილი ავირჩიეთ და გუშინ ათენის ოლიმპიური თამაშების აკრედიტაციაც მასვე გადაეცა.

საქართველოს პრეზიდენტთან ჩვენი ოლიმპიელების შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილს უთხრეს, ამ აკრედიტაციით ათენში მაშინ ჩამობრძანდით, როცა ჩვენს ოლიმპიელებს გაუჭირდებათო. თუმცა, რაც საქართველოს ოლიმპიურმა ფონდმა და მისმა პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა ჩვენი ოლიმპიელების მომზადებასა და მათ სხვა ათას წვრილმან თუ მსხვილმან საქმეს ფული დაახარჯეს, წესით და რიგით ათენში ბევრიც არა-



პრეზიდენტთან მიღებაზე მხიარულება სუფევდა



მიხეილ სააკაშვილი სპორტის რაინდის ორდენოსანი გახდა

ეროვნული ბიბლიოთეკა





ილია მეორემ ლერი ხაბელოვს მარიამ ღვთისმშობლის ხატი გადასცა

ფერი უნდა გაგვიქირდეს.

იმავე შეხვედრაზე საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს წლეულს დაარსებული სპორტის რაინდის ორდენი გადასცა.

იქვე სააკაშვილს გადაეცა ის მაისურა, რომლითაც ჩვენი ოლიმპიელები საათენოდ შეიმოსებიან.

რა თქმა უნდა, ამ შეხვედრაზე იყო სპორტის მესვეურთა გამოსვლები. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა გოჩა ძასოხოვმა თქვა, ათენიდან ოქროს მედლით ჩამოსვლა სიმბოლურად არგონავტების მიერ წაღებული ოქროს საწმისის დაბრუნება იქნებაო.

ამ საქმეში ჩვენი გულშემატკივარი იქნება კოჯი ოსავაც, რომელმაც ბრძანა, მე მაინც იაპონელი ვარ და ჩვენების გულშემატკივრად დავრჩები, მაგრამ გული თქვენსკენ იწევს და ჩემიანებთან ერთად ქართველებსაც მხურვალედ გიქომაგებთო.

ეს შეხვედრა მსუბუქი იუმორით მიმდინარეობდა და ამგვარ ატმოსფეროს მხარი აუბა ოლიმპიურ სოფელში საქართველოს დელეგაციის მეთაურმა, ირაკლი მეძმარიაშვილის პირველმა მოადგილემ ლერი ხაბელოვმაც. ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელად მე იმიტომ ამირჩიეს, რომ ოსი ვარ, წარუმატებლობის შემთხვევაში ყველაფერს მე დამაბრალებენო.

მაგრამ ახლა წარუმატებლობაზე კი არა, ყველა წარმატებაზე ფიქრობს, მათ შორის ორ-ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ელდარ კურტანიძეც, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტს შეხვედრისთვის მადლობა გადაუხადა და იმისთვისაც, რომ თქვენ ჩაგვინერგეთ საბრძოლო სულისკვეთება, აღგვავსეთ გამარჯვების ჟინით და საქართველო დაარწმუნეთ, რომ ჩვენც შეგვიძლია გამარჯვებებიო.

იქნებ კურტანიძემ სიტყვასიტყვით მთლად ასეც არ თქვა, მაგრამ ეს მისი გამოსვლის „დედანთან“ საკმაოდ მიახლოებული ნამდვილად არის.

კურტანიძის ამგვარი პათოსი თავად მიხეილ სააკაშვილის სიტყვის თავისებური გაგრძელება იყო, რადგან პრეზიდენტი დინჯად და მშვიდად მუხტავდა საბრძოლოდ ჩვენს სპორტსმენებს, საუბრობდა დამარცხებულის სინდრომის გადაგდებაზე, მხედრულ სულზე და იმაზეც, სპორტი ჩვენი პრიორიტეტიაო.

პრეზიდენტმა ხუმრობით გააფრთხილა ჩვენი ოლიმპიელები, არ მიიღოთ ასპირინი, კოფეინი და სხვა მისთანანი; ვარჯიშზე არ დააგვიანოთ და ანონვა არ დაგავიწყდეთო, რითაც რვა წლის წინანდელი ჩვენი კურიოზული უთავბოლობა, რომ იტყვიან, „ტექნიკურად“ შეგვახსენა. ბოლოს კი მთელ ოლიმპიურ დელეგაციასთან ერთად სამახსოვრო სურათი გადაიღო და არც კერძო ამგვარ ფოტოებზე თქვა უარი.

ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრამდე იყო მიღება საქართველოს პატრიარქთან.

მიხეილ სააკაშვილს უყვარს სიმბოლოები და სიმბოლური დამთხვევები. და რაკი ამ საქმესთან არც ჩვენ ვართ მწყრალად, საქართველოს პატრიარქთან მიღებისას ამგვარ სიმბოლურ „სასწაულზეც“ შევჩერდებით.

ის იყო, მიღება დაიწყო და ცამ პირი მოხსნა, რასაც საპატრიარქოში უმალ დენის გამორთვა მოჰყვა. კოკისპირული წვიმა კარგად ენიშნა პატრიარქს. ბოლოს ის იყო, ილია მეორემ თითოეული ოლიმპიელის ლოცვა-კურთხევა დაიწყო და თავსხმა წვიმამაც ერთბაშად გადაიღო. უცნაურია, დენიც იმწამს მოვიდა, ტყვიისფერი ღრუბლებიც გაიხლიჩა და იქიდან მზის სხივმა ფანჯრიდან პირდაპირ ილია II-სთან დასალოცად მუხლმოყრილ ელდარ კურტანიძესთან შემოანათა, აღმოსავლეთით, სამების ტაძრის თავზე კი ვეება ცისარტყელა გამოისახა.



ელდარ კურტანიძემ დაიფიცა...

პატრიარქმა დალოცვილ-კურთხეული ოლიმპიელები ათონის მთიდან ჩამოტანილი მარიამ ღვთისმშობლის ხატითა და გიშრის ჯვრებითაც გამოისტუმრა. ეს გიშრის ჯვრები თქვენთვის საგანგებოდ შევარჩიე და ბოროტი თვალისგან დაგიცავთო.

გუშინდელი ოლიმპიური დღე კი დაიწყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მუზეუმში, სადაც ყველა ოლიმპიელის სახელით ოლიმპიური ფიცი წარმოთქვა ელდარ კურტანიძემ, რაც მერე ყველა მისმა თანაგუნდელმა ხელმოწერით დაადასტურა.

და როგორც ყოველი კეთილი საქმის გასრულებას შეშვენის, გუშინდელი დღე დამთავრდა „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ ალაფურშეტით, სადაც სპორტსმენებმა სპონსორთაგან საჩუქრებიც მიიღეს.

იქვე საბერძნეთის ელჩმა საქართველოში ჩვენს ოლიმპიელებს ამცნო, ათენში ყველა ოლიმპიური ბაზა სრულ მზადყოფნაშია და გელითო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



ბადრი პატარკაციშვილი ათენში ჯანო ბაგრატიონი იქნება, ოღონდ თანამდებობით



კონსტანტინა მაურასკელიდო: ათენში ყველა ოლიმპიური ბაზა სრულ მზადყოფნაშია და გელით

## უეფას თასი 2004-2005
### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

თბილისი. 12 აგვისტო. ეროვნული

**თბილისი — ლეგია**

# თბილისმა ლეგიას 12 გაუცვალა
## ლოკომოტივი არ ვარგა, ეროვნული სჯობსო

უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი „თბილისს“ „ლეგიასთან“, კენჭისყრის შესაბამისად, 12 აგვისტოს ვარშავაში უნდა ეთამაშა. თუმც მეტოქეთა შეთანხმებისა და უეფას ნებართვის შემდეგ მასპინძელი შეიცვალა — „თბილისი“ პირველ მატჩს 12 აგვისტოს თბილისში, „ეროვნულზე“ ჩაატარებს.

საქმე ისაა, რომ 12 აგვისტოს თბილისის „დინამოც“ სტუმრად, პრალაში თამაშობს, საპასუხო მატჩი კი ორივე ქართულ გუნდს 26 აგვისტოს შინ უწევდა.

ვინაიდან „თბილისს“ ჯერ ევროსტანდარტების შესაბამისი სტადიონი არ აქვს, გუნდი იძულებულია, საერთაშორისო მატჩები სხვაგან გამართოს. პირველ ეტაპზე „თბილისმა“ აზერბაიჯანულ „შამქირს“ „ლოკომოტივზე“ უმასპინძლა, იქვე აპირებდნენ „ლეგიას“ მიღებასაც, მაგრამ „თბილისის“ ფეხბურთელებმა „ლოკომოტივის“ მოედანი დაიწუნეს, მძიმე გრუნტია, რაც კუნთებს გვატკიებსო. მეორე ვარიანტი „ეროვნულზე“ თამაში იყო, სადაც 26 აგვისტოს „დინამომ“ „სლავია“ უნდა მიიღოს, „თბილისი“ კი „ეროვნულზე“ ველარ ითამაშებდა.

უეფა „თბილისი“ — „ლეგიას“ საპასუხო მატჩის თუნდაც ერთი დღით გადადების წინააღმდეგი იყო და თბილისელებმაც, სხვა გზა რომ არ ჰქონდათ, პოლონელებს 12 აგვისტოს მასპინძლობა შესთავაზეს. წინააღმდეგი არც „ლეგია“ ყოფილა და საქმეც მალევე მოგვარდა.

მაშ, არ დაივიწყოთ: 12 აგვისტოს „თბილისი“ „ეროვნულზე“ ითამაშებს, 26-ში კი ვარშავაში. „დინამო“, როგორც იყო, 12 აგვისტოს „სლავიას“ ესტუმრება, ორ კვირაში კი „ეროვნულზე“ დახვდება.

**ქობა ინასარიძე**

# აშვეთია გადარჩა



**ცუდი ამბავი** შეემთხვა მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველ თავდამსხმელ მიხეილ აშვეთიას. ტვინის შერყევა და კონტუზია — აი, დიაგნოზი, რომელიც აშვეთიას რუსმა ექიმებმა ნოვოროსიისკის საავადმყოფოში დაუსვეს.

წინა უქმეებზე მოსკოვის „ლოკომოტივი“ რუსეთის თასის მეთექვსმეტედფინალის სათამაშოდ ნოვოროსიისკში „ჩერნომორეცს“ ესტუმრა. მიხეილ აშვეთია სათადარიგო იყო და შეცვლაზე 12 წუთი ითამაშა. მატჩის დამთავრებას ხუთი წუთი რომ აკლდა, ბურთისთვის ჰაერში მებრძოლ ჩვენიან თავდამსხმელს თავში რუსი მცველის იდაყვი მოხვდა. დავარდნილს კი ორი ფეხბურთელიც ზედ დაეცა. მიხეილ აშვეთიამ გონი დაკარგა, მოედნიდან საკაცით გაიყვანეს და სასწრაფოთი საავადმყოფოში გააქანეს.

„აშვეთიას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, თუმც მისთვის ფეხბურთის თამაში ჯერ გაურკვეველი ვადით შეუძლებელი იქნება. აშვეთია, სულ მცირე, ერთი თვე ვარჯიშს ვერ შეძლებს. მერე კი ვნახოთ“ — თქვა „ლოკომოტივის“ ექიმმა ალექსანდრე იარდოშვილმა.

მიხეილ აშვეთიას ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელი ყოფილა, თუმც დროდადრო ფეხბურთელს მახსოვრობა ეკარგება. როგორც ექიმები ამბობენ, ასეთი ტრავმებისას ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

ჯერჯერობით კი აშვეთია ნოვოროსიისკის საავადმყოფოშია, სადაც „ლოკომოტივის“ წარმომადგენელი პატრონობს. მიხოს მოსკოვში მაშინ გადააფრენენ, როცა ექიმები ტრანსპორტირების ნებას დართავენ.

**ქობა ინასარიძე**

## გუშინ. ამხანაგური მატჩი
### ამერი 2:0 სიად სოუში (მოსტი)

1:0 მჭედლიშვილი (55), 2:0 სევასტოპულო (76)

**ამერი:** ნაჭყებია (ნადირაშვილი 80), კედელაშვილი (ა. აბაშიძე 85), დავითნიძე (ბერიანიძე 80), ხვადაგიანი (გვაძაბია 79), მჭედლიშვილი, სილაგავა, დეკანოსიძე (შონია 85), კაიდარაშვილი (გარუჩავა 80), ბჟალავა (ნიკოლაიშვილი 62), სევასტოპულო (ჩიმაკაძე 24), წინამძღვრიშვილი (ვარამიშვილი 70)

## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005
### II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

კრაკოვი. 4 აგვისტო. 22 საათი

**ვისლა — ვიტ-ჯორჯია**

# დღეს ვიტ ჯორჯია ვისლასთან ივარჯიშებს

**„ვიტ ჯორჯია“** გუშინწინ პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გაფრინდა. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის ფორმალობად ქცეული საპასუხო მატჩისთვის პოლონეთის ძველ დედაქალაქში ვიტჯორჯიელები სამჯერადი გადასხდომის შემდეგ ჩაფრინდნენ. ვეტერინარები სასტუმრო „სიტი SM“-ში ბაბინავდნენ, გუშინ საღამოს კი ივარჯიშეს კიდეც.

გუნდი პოლონეთში იმავე შემადგენლობით გაემგზავრა, რომლითაც თბილისში ითამაშა. მხოლოდ გიორგი ადამიას მოუწია თბილისში დარჩენამ. მას „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და მისი კლუბში დარჩენის საკითხი ჯერაც არ გადაწყვეტილა.

გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელ *ვლადიმერ ხაჩიძეს* გავესაუბრეთ.

— ნორმალურად ვიმგზავრეთ, ეგაა, ცოტა დავიღალეთ. ბიჭებმა ისადილეს, დაისვენეს და იმ სტადიონზე, რომელზეც ვითამაშებთ, ერთი საათი ვივარჯიშეთ.

**— დახვედრა ნორმალური იყო?**

— დიახ, რაც ვითხოვეთ, ყველაფერი შეგვისრულეს.

**— სტადიონი, მინდორი...**

— სრული წესრიგია. „ვისლას“ დონის კლუბებს ამნაირი პრობლემები არ აქვთ.

**— დიდი ანგარიშით მოგების მერე კრაკოვში მატჩისადმი ინტერესს თუ იჩენენ?**

— ეს არ შემინიშნავს, თუმცა კი გვითხრეს, რომ „ვისლა“ უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და ანგარიშის მიუხედავად ქომაგი არ მოაკლდებაო.

**— ადამია თბილისში რატომ დარჩა?**

— მასთან ახალი კონტრაქტი გვსურს და ამის თაობაზე მოლაპარაკება მიმდინარეობს.



როგორც „ვიტ ჯორჯიას“ დირექტორატის წევრმა მალხაზ კაკაურიძემ გვითხრა, „ვიტ ჯორჯიაში“ ადამიას დარჩენისა და ალეკო გოგობერიშვილის შემატების საკითხი უახლოეს დღეებში, თანაც სასიკეთოდ გადაწყდება.

**დავით ერაძე**

*სამარის „კრილია სოვეტოვში“ ბოლო ხანს ორი ქართველი ფეხბურთელი ისინჯებოდა, გოგა გახოკიძე და სანდრო იაშვილი. ორივე შემთხვევაში კონტრაქტის გაფორმებას ფაქტობრივად აღარაფერი აკლდა, მაგრამ ქართველები „კრილიაში“ არ დარჩნენ. გახოკიძე ახლა უკვე დონეცკის „მეტალურგის“ ფეხბურთელია, სანდრო იაშვილი კი ჯერაც უგუნდოდაა და ახლა მოსკოვშია.*

*მისი ამბების შესატყობად გუშინ მოსკოვში ახრიკ ცვეიბას შევეხმიანეთ, რომელიც ივანე ჯუღელთან ერთად განაგებს ამ ტრანსფერის ბედს*

# იაშვილი ათ დღეში მორჩება
## კრილია ჯერ არ მორჩენილა

**— იაშვილი გაურკვევლობაშია, „კრილია სოვეტოვიდან“ წამოსული ახლა მოსკოვშია. თქვენ ხომ არ გვეტყოდით, რა მოხდა?**

— იაშვილის ტრანსფერის ჩაშლაზე ჯერ ნუ ვილაპარაკებთ, ახლა მისი ტრავმა უფრო გვაწუხებს. საზარდულის სერიოზული ტკივილები აქვს და ვმკურნალობთ.

**— თბილისიდან ის ჯანმრთელი გამოემგზავრა, საზარდული „კრილიაში“ ასტკივდა?**

— როგორც ჩანს, საზარდული ადრეც აწუხებდა. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მიშვებული ჰქონდა ეს ამბავი. ახლა მას რუსეთის ნაკრების ყოფილი ექიმი ზურაბ ორჯონიკიძე მკურნალობს, რომელმაც გვითხრა, რომ სანდრო ათ დღეში ვარჯიშს განაახლებს. ჩვენი მთავარი ამოცანაც ახლა ესაა — რაც შეიძლება მალე უნდა დავაყენოთ ფეხზე.

**— ესე იგი, „კრილიას“ ვარიანტი საბოლოოდ არ გამორიცხულა?**

— არა. ამ ვარიანტზე კიდევ ვმუშაობთ. სამწუხარო ისაა, რომ ბოლო მომენტში რაღაც გაურკვეველი მიზეზების გამო ტრანსფერის საკითხი გაიწელა, შემდეგ კი საზარდულის ტკივილმაც იჩინა თავი.

**— „კრილიაში“ იაშვილის ტრანსფერი ჩაშლილად გამოაცხადეს...**

— არ ვიცი, რას ამბობენ „კრილიაში“, მაგრამ ეს საკითხი რომ დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, ფაქტია.

**— იაშვილი ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელია. მას უგუნდობა ხომ არ ემუქრება?**

— მე მისი ნიჭიერების და შრომისმოყვარეობის მჯერა და ამიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ იგი უგუნდოდ არ დარჩება. გარდა ამისა, მის ხასიათში



ის თვისებები შევამჩნიე, რაც თანამედროვე ფორვარდს აუცილებლად უნდა ჰქონდეს.

**— „კრილიას“ გარდა რუსული პრემიერლიგის რომელიმე სხვა კლუბი ხომ არ დაინტერესებულა იაშვილით?**

— ამას ჯერ ვერ გეტყვით, თუმცა გამორიცხული არაა, იაშვილი სხვა კლუბშიც აღმოჩნდეს. ახლა მთავარი პრობლემა მისი საზარდულია.

**— იაშვილის გარდა თქვენ არაერთი ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერზეც მუშაობდით. რომელიმე ჩვენებურის ტრანსფერს ხომ არ უნდა ველოდოთ უახლოეს პერიოდში?**

— ამ ეტაპზე არა, ახლო მომავალში კი რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის თაობაზე შესაძლოა, კლუბებთან მოლაპარაკება დავიწყოთ.

**დავით ერაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

## საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი 16 ლიგა — 1 ტური



ბუნება სიცარიელეს ვერ ჰგუობსო... ისე ჰგუობს, როგორც დაგიბარებია. შეიარეთ ჩვენს სტადიონებზე და ა, ბატონო: ასე გაიხსნა ეროვნული ჩემპიონატი ქუთაისში.

| | | |
|---|---|---|
| ტორპედო | 2:0 | ლოკომოტივი |
| კოლხეთი | 1:2 | ვიტ ჯორჯია |
| დილა | 0:1 | ბათუმი |
| ზესტაფონი | 1:3 | თბილისი |
| დინამო | 6:0 | სიონი |



## ჟირესი დადის და უკვირს: ფეხბურთელები დადიან

დადის და ეძებს... ეძებს და პოულობს? ალენ ჟირესმა საქართველო შემოიარა საქართველოს ნაკრებში თამაშის ღირსი ფეხბურთელების მოსაძებნად და, ჯერ არ ვიტყვი, ცოტაც მაცადეთ, კიდევ დავაკვირდები და შემადგენლობას მერე გაგაცნობთო. მერეს მერე კი მოლდოვასთან ამხანაგურია, ხოლო შემდეგ ჩვენი და ჟირესის ღელვა და გულყრა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი. ...რა ნელა თამაშობთ ქართველებიო, ხშირად და სევდით ამბობს ხოლმე ფრანგი.



*ეს თავშეხვეული ბათუმელი გიორგი ნოდარის ძე ჭულიძეა და არ იკითხავთ, სად და როგორ გაიტეხა თავი? მისიანები გორელების კარში გატანილ გოლს ხარობდნენ, ისიც შეუერთდა, ვერ მოზომა და ერთს შუბლით შესკდა.*



ზესტაფონს არა უშავს, ცუდად არ გამოიყურება... სტადიონზე ვამბობთ, გუნდისა კი მალე გამოჩნდება.



## ძაღლის ბედი

ეს სიმპათიური ლეკვი, რომელსაც ეგებ ბისკვიტია, მურია ან სულაც ბროლია ჰქვია, ქუთაისის სტადიონზე დაიბადა და იქავე იზრდება. ნათქვამია, ძაღლის შემოყრა ბედიაო და, ეგებ ლეკვი კეთილ თილისმადაც გამოადგეს ახალ სეზონში ქუთაისის „ტორპედოს“.

## შეაყარე კედელს...



გორის სტადიონის კარსუკანა ეს კედელი, წლები გადის და, რა უჟმური სანახავიც იყო, ისეთივეა. კარის წინ რომ ისეთი მომენტი შეიქმნას, იმის ნახვას და გადაღებას არაფერი სჯობდეს, გაზეთში სურათის დაბეჭდვაზე გული გეთანაღრება — ჩამოშლილ-ჩამონგრეული და წლობით შეულესავი კედელი-ფონი ხასიათსაც გიფუჭებს და ფოტოსაც. ასე რომ, ამდენი ხანი კედელზე ცერცვის შეყრას ორი-სამი ვედრო ქვიშა-ცემენტის შეყრა სჯობს.



ჟურნალისტის სამივლინებო გზაზე ნანახი ეს ავარია, იმედია, უმსხვერპლოდ დასრულდა. მძღოლმა წესი დაარღვია და... ფრთხილად, ხალხო, მიქელ-გაბრიელი მსაჯივით ყვითელს არ ამოიღებს, ძალიან ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია იცის...

## გერმანია

### ლიგის თასის ფინალი

**ბაიერნი 3:2 ვერდერი**

1:0, 2:0 დაისლერი (27, 43), 3:0 ბალაკი (65), 3:1 კლასნიჩი (68), 3:2 ისმაელი (74პ)

**ბაიერნი:** კანი, გიორლიცი, თ. ლინკე, დემიკელისი, სალიჰამიჯიჩი, ფრინგსი, ბალაკი, დაისლერი (იერემისი 71), ზე რობერტო (ლუსიო 46), მაკაი (ჰაშემიანი 46), სანტა კრუზი

**მწვრთნელი:** ფელიქს მაგათი

**ვერდერი:** რაინკე, პასანენი, ისმაელი, ფარენჰორსტი, სტალტერი (მანინი 46), ბოროვსკი, ფ. ბაუმანი (ლაგერბლომი 46), ფ. ერნსტი (ნ. ვალდესი 83), მიკუ, კლოზე, კლასნიჩი

**მწვრთნელი:** თომას შააფი

**გაფრთხილება:** მიკუ, კლასნიჩი, ლუსიო

**მსაჯი:** ფროილიხი

13 200 მაყურებელი

# დაისლერმა მძინარე ვერდერი გაგუდა



სებასტიან დაისლერს ბრემენელები ასე გაუსწორდნენ

მიუნხენის „ბაიერნმა“ ლიგის თასი მოიგო და საპრიზო მილიონ 300 ათასი ევროც ჩაიჯიბა, ხოლო დამარცხებულ „ვერდერს“ 900 ათასი ევრო ერგო.

„ბაიერნის“ მწვრთნელი ფელიქს მაგათი: „ეს ჯერ დასაწყისია და მხოლოდ ამ გამარჯვებით ვერ დავკმაყოფილდებით. ბოლო ნახევარ საათში ცუდად ვითამაშეთ. სამბურთიანი სხვაობა კინაღამ გაგვისხლტა. მსგავსი შეცდომა ბუნდესლიგაში არ უნდა დავუშვათ, თორემ დავისჯებით“.

ბრემენელთა თავკაცმა თომას შააფმა კი ნამატჩევს თქვა: „პირველ ტაიმში გვეძინა და აგრესიულობა გვაკლდა, მეორე ნახევარში კი ბიჭებმა გაიღვიძეს, მაგრამ გასათანაბრებლად დრო აღარ გვეყო“.

სანამ „ვერდერს“ ეძინა, სებასტიან დაისლერმა წყვილი გოლის გატანა მოასწრო. გერმანული ფეხბურთის იმედმა წინა სეზონი ავადობის გამო გამოტოვა, ახლა კი ეტყობა იშტაზე მოდის. მაკაის, ფრინგსისა და ბალაკის ზედიზედ გაცუდებული მომენტების შემდეგ დაისლერმა საჯარიმო დარტყმა უზადოდ შეასრულა — რაინკეს ბურთი მარჯვენა კუთხეში ჩაუსვა, პირველი ტაიმის მიწურულს მანვე ცალტიით მეორედ გაისროლა ზუსტად, ამჯერად მარცხენა კუთხეში.

შესვენების შემდეგ მიხაელ ბალაკმა „მუსიკოსები“ მესამედ დაამწუხრა. „ვერდერმაც“ ამის მერე გაიღვიძა. კლასნიჩმა დემიკელისის შეცდომით ისარგებლა და ოლივერ კანს ბურთი კარში აუფართხალა. მოყოჩაღებული ბრემენელები მეტოქის საჯარიმოს მიაწყდნენ. შეცვლაზე შესულმა ლუსიომ სადებიუტო მატჩში კლასნიჩის წაქცევისთვის პენალტი „აიკიდა“, თერთმეტმეტრიანი დარტყმა კი ისმაელმა შეასრულა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

იოან მიკუს და კლასნიჩს შეხვედრის მიწურულს გათანაბრების თითო შანსი ჰქონდათ, მაგრამ ერ გამოიყენეს.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ სებასტიან დაისლერი 71-ე წუთზე მუხლის ტკივილის გამო შეცვალეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ამხანაგური მატჩი

**მილანი 3:2 ჩელსი**

0:1 გუდიონსენი (19), 1:1 კაფუ (26), 1:2 დროგბა (38), 2:2 კოსტაკურტა (79), 3:2 შევჩენკო (88)

**მილანი:** აბიატი, კაფუ, ნესტა, მალდინი (კოსტაკურტა 58), კალაძე, გატუზო, დორასო (ბროკი 64), სერჟინიო, კაკა, შევჩენკო, კრესპო

**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი

**ჩელსი:** კუდიჩინი, პ. ფერეირა, ტერი, გალასი (რ. კარვალიუ 46), ბრიჯი (ბაბაიარო 46), ჯერემი, მაკელელე (ჰათი 82), ლამპარდი, პარკერი (დაფი 46), დროგბა, გუდიონსენი (ჯ. კოული 49)

**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ

**გაფრთხილება:** კაფუ, ბაბაიარო, გატუზო, კრესპო, ტერი

**მსაჯი:** ტერი ვონი (აშშ)

40 000 მაყურებელი

# მაურინიოს მარცხი ანჩელოტიმ გააცნო



კლოდ მაკელელეს კახა კალაძემ არაფერი დაუთმო

ჟოზე მაურინიუს მწვრთნელობისას ლონდონურმა „ჩელსიმ“ პირველი მატჩი წააგო. „არისტოკრატებს“ იტალიის ჩემპიონმა „მილანმა“ მოუგო 3:2.

შეხვედრა ფილადელფიაში, „ლინკოლნ ფინანსიალ ფაილდ სტედიუმზე“ გაიმართა გუშინ და 40 ათასმა მოსიერემაც ნამდვილი, სანახაობრივი ფეხბურთი იხილა.

ვინც ეს მატჩი ნახა, ამბობს, ძალიან მაგარი თამაში იყოო.

პირველი ტაიმი „ჩელსიმ“ ულაპარაკოდ მოიგო ეიდურ გუდიონსენისა და დიდიე დროგბას გოლებით, ამათ შუალედში კი ბრაზილიელმა კაფუმ გაიტანა. მოკლედ, 2:1.

მეორეში „მილანმა“ იმძლავრა. „შავ-წითლებმა“ „ლურჯები“ განსაკუთრებით ნახევარდაცვაში დაჩაგრეს.

მივყვეთ თანმიმდევრობით: მაურინიუს არ ჰყავდა სერბი ფორვარდი მატეა კეჟმანი. იცით, მან წინა ამხანაგურში „რომას“ ფრანგ ოლივიე დაკურთან იჩხუბა, რის გამოც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ უმალვე გამოუწერა სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ კეჟმანი პრემიერლიგის საწყის ტურებსაც გამოტოვებს. ალბათ ამიტომაც გაამწესა პორტუგალიელმა მწვრთნელმა თავდასხმაში გუდიონსენ-დროგბას წყვილი.



ერნან კრესპო ყოფილ თანაგუნდელს, კარლო კუდიჩინის შეასკდა

„ჩელსის“ გოლები სწორედ მათ შეაგდეს: გუდიონსენმა მე-19 წუთზე გაუტანა აბიატის, დროგბამ კი 38-ეზე, როცა კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს უმძლავრესი თავური შეაგება.

კაფუმ გუდიონსენის გოლიდან შვიდ წუთში გაათანაბრა, შევჩენკოს პასს საჯარიმოში არშესულმა აბრაგანი რომ ამოსცხო, კარლო კუდიჩინი ბურთიანად ბადეში აფართხალდა.

დაიწყო მეორე ტაიმი და „ჩელსიში“ პორტუგალიელი მცველის, რიკარდუ კარვალიუს დებიუტიც შედგა. მან უილიამ გალასი შეცვალა. მაურინიუმ შესვენებისას კიდევ ორი ფეხბურთელი შეცვალა, უეინ ბრიჯს და სკოტ პარკერს შესაბამისად სელესტინ ბაბაიარო და დემიენ დაფი ჩაუნაცვლა.

„მილანმა“ 79-ე წუთზე გაათანაბრა, სერჟინიომ კუთხური მოაწოდა, საჯარიმოში კი არც მეტი, არც ნაკლები, 38 წლის კოსტაკურტა გამოჩნდა. ბილიმ ბურთს ფეხი მიჰკრა და 2:2. გამარჯვებისა კი ანდრეი შევჩენკომ შეაგდო — დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ჯარიმიდან დაბალი ბურთი შორეულ კუთხეში დაურტყა კუდიჩინის, მეკარე არც კი განძრეულა.

ნამატჩევს ჟოზე მაურინიუმ „ივნინგ სტანდარდს“ უთხრა, მიუხედავად იმისა, რომ წავაგეთ, მაინც კმაყოფილი ვარ. „მილანი“ დიდი გუნდია და მასთან მარცხის არ უნდა შევგრცხვეს. პრემიერლიგის დაწყებამდე 12 დღეა დარჩენილი და ჩემი ფეხბურთელების მზადყოფნაც მაკმაყოფილებსო.

სტადიონზე იყო „ჩელსის“ პატრონი რომან აბრამოვიჩიც. ცხადია, ჟურნალისტები მასაც გაესაუბრნენ. აბრამოვიჩს ძირითადად „მილანზე“ უთქვამს: „მინდა, გულწრფელად მივულოცო კარლო ანჩელოტის. მას ძალიან კარგი, დაბალანსებული გუნდი ჰყავს. განსაკუთრებით შევჩენკოს თამაშს ვადევნებდი თვალს. ის უბრალოდ, ფენომენია“.

და როცა ამ თამაშზე ვლაპარაკობთ, ცხადია, ყოფილი ჩელსელის აზრიც საინტერესო უნდა იყოს. არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო ხომ სულ ახლახან გადავიდა „შავ-წითელთა“ ბანაკში. კრესპომ ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ 90 წუთი ითამაშა, მერე კი „კორიერე დელო სპორტს“ უთხრა: „ჩვეულებრივი განწყობით ვითამაშე. მე ახლა „მილანის“ ფეხბურთელი ვარ და „ჩელსი“ არ მაინტერესებს“.

ბოლოს ჩვენებურზეც ვთქვათ. კახა კალაძემ კვლავაც სრულად ითამაშა და კარგადაც. ჩანს, სასურველ ფორმაში ნელ-ნელა შედის.

**გიორგი ვაშაკიძე**



# ტოტის მარცხიანი მუხლი

**ფრანჩესკო ტოტის** მუხლის მყესები ისე დაუზიანდა, რომ შესაძლოა, ოპერაცია და საამისოდ ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნება დასჭირდეს. „რომამ“ ამხანაგურ მატჩში „სელტიკს“ 1:0 მოუგო, გოლი ტოტიმ გაიტანა და თამაშის დროს ფეხს არ შეუწუხებია, მაგრამ მეორე დღეს ექიმს რომ მიაკითხა, მარცხენა მუხლის მყესები დაშავებული აღმოაჩნდა. ფეხბურთელი ხელმეორე შემოწმებას, სავარაუდოდ, ხვალ გაივლის და ექიმიც მაშინ გადაწყვეტს, საჭიროა თუ არა ქირურგიული ჩარევა.

ფეხის გაჭრას თუ გადაურჩა, სამიდან ექვს კვირამდე მკურნალობა მოუწევს და ჩემპიონატის დაწყებამდე საფუძვლიანად გამოკეთებას ალბათ ვერ მოასწრებს. ფრანჩესკო ტოტის ტრავმამ კლუბის ბოსები, ცხადია, შეაშფოთა, რადგან მან ამ მუხლზე ერთი ოპერაცია უკვე გადაიტანა.

რომაელებისთვის ეს უიღბლო ზაფხული გამოდგა. ტოტის გარდა დაშავებულია დამიანო ტომაზიც, რომელმაც მუხლი „სტოკ სიტისთან“ ამხანაგურ შეხვედრაში იტკინა და გუნდს კარგა ხნით გამოაკლდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გერმანული ტრანსფერები 2004-2005



„ჰამბურგს“ ტომაშ უიფალუში ემილიანო მონდონიკოს „ფიორენტინაში“ გაექცა

## ვერდერი

**მოვიდნენ**

დ. იენსენი (მურსია, ესპანეთი)
პასანენი (აიაქსი, ჰოლანდია)
ფარენჰორსტი (ბოხუმი)
კლოზე (კაიზერსლაუტერნი)
გუსტავო ნერი (სან პაულუ, ბრაზილია)

**წავიდნენ**

აილტონი (შალკე)
კრსტაიჩი (შალკე)
ბანოვიჩი (ნიურნბერგი)
დაუნი (ნიურნბერგი)
როლფესი (ალემანია)
ველაგე (დუისბურგი)
მ. ფრიდრიხი (მაინცი)
სკრიპნიკი (თამაში მიატოვა)

## ბაიერნი

**მოვიდნენ**

ფრინგსი (დორტმუნდი)
გიორლიცი (მიუნხენ 1860)
ჰაშემიანი (ბოხუმი)
ლუსიო (ლევერკუზენი)

**წავიდნენ**

ლელი (კიოლნი)
მისიმოვიჩი (ბოხუმი)
ლიზარაზუ (მარსელი, საფრანგეთი)

## ლევერკუზენი

**მოვიდნენ**

ფრაიერი (ბოხუმი)
როკე ჟუნიორი (მილანი, იტალია)
კრჟინოვეკი (ნიურნბერგი)
შტარკე (ჰამბურგი)
ვორონინი (კიოლნი)

**წავიდნენ**

ბაშთურქი (ჰერტა)
ბრდარიჩი (ვოლფსბურგი)
ჰერჩი (კაიზერსლაუტერნი)
იურიჩი (ჰანოვერი)
ლუსიო (ბაიერნი)
ა. მეიერი (დუისბურგი)
ნოივილი (მიონხენგლადბახი)
პროისი (ბოხუმი)
შიმაკი (სპარტა, ჩეხეთი)
სებესკენი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბარნეტა (ჰანოვერი)

## შტუტგარტი

**მოვიდნენ**

შტრანცლი (მიუნხენ 1860)
ბაბელი (ლივერპული, ინგლისი)
დელპიერი (ლილი, საფრანგეთი)
რატგები (ახალგაზრდული გუნდიდან)

**წავიდნენ**

ბორდონი (შალკე)
მ. ფინკი (არმინია)
ჰუსტერერი (აინტრახტი)
მუტცელი (კარლსრუე)
რუი მარკეში (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ბრანკო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ჰანზა

**მოვიდნენ**

ა. კელერი (ტრირი)
ლაპაჩინსკი (ჰერტა)
კ. მადსენი (ვოლფსბურგი)
დ. რასმუსენი (ნორდსიელანდი, დანია)
აგალი (შალკე)

**წავიდნენ**

კლევერი (ნიურნბერგი)
კოვარი (სიგმა, ჩეხეთი)
პლასნეგერი (გრაცერი, ავსტრია)
შიდი (უნტერჰახინგი)
მაქსი (თამაში მიატოვა)
კინცი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვიმერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## დორტმუნდი

**მოვიდნენ**

კრინგე (კიოლნი)
ოლისე (ბოხუმი)
რამელი (ახალგაზრდული გუნდიდან)
აკგიუნი (ახალგაზრდული გუნდიდან)

**წავიდნენ**

ახენბახი (კიოლნი)
კეისი (მაინცი)
ფლავიო კონსეისაო (რეალი, ესპანეთი)
ფრინგსი (ბაიერნი)
კრონტირისი (მიუნხენ 1860)
ლეანდრო (პალმეირასი, ბრაზილია)
ამოროზო (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ჰერლიხი (თამაში მიატოვა)
შ. როიტერი (თამაში მიატოვა)

## შალკე

**მოვიდნენ**

აილტონი (ვერდერი)
ბორდონი (შტუტგარტი)
კრსტაიჩი (ვერდერი)
ლინკოლნი (კაიზერსლაუტერნი)
პეტერაიტი (ახალგაზრდული გუნდიდან)
ბაუმიოჰანი (ახალგაზრდული გუნდიდან)
ჰესე (ახალგაზრდული გუნდიდან)
ჰოოგლანდი (ახალგაზრდული გუნდიდან)
ტალარეკი (ახალგაზრდული გუნდიდან)

**წავიდნენ**

ჰაიტო (ნიურნბერგი)
ციომერი (ტვენტე, ჰოლანდია)
გლიდერი (პაშინგი, ავსტრია)
ვან კერკჰოვენი (მიონხენგლადბახი)
პინტუ (ალემანია)
ზაიცი (კაიზერსლაუტერნი)
ტროიანი (ბოხუმი)
აგალი (ჰანზა)
კ. ჯორჯევიჩი (თამაში მიატოვა)
მატელანი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ჰამბურგი

**მოვიდნენ**

ლაუტი (მიუნხენ 1860)
ე. მპენზა (სტანდარდი, ბელგია)
ვან ბუიტენი (მარსელი, საფრანგეთი)
კირშტაინი (ესენი)
ბრეშკო (შმარტნო, სლოვენია)
ჰამპელი (ჰერტა B)

**წავიდნენ**

უიფალუში (ფიორენტინა, იტალია)
ფუკალი (მიონხენგლადბახი)
ჰოოგმა (ჰერაკლესი, ჰოლანდია)
მალტრიცი (ბოხუმი)
ა. მეიერი (აინტრახტი)
შტარკე (ლევერკუზენი)
ლედესმა (რივერ პლეიტი, არგენტინა)
ჰოლერბახი (თამაში მიატოვა)
კარდოზო (თამაში მიატოვა)

## ბოხუმი

**მოვიდნენ**

ბეკმანი (ესბიერგი, დანია)
ედუ (სანტოსი, ბრაზილია)
მალტრიცი (ჰამბურგი)
კნავსი (კაიზერსლაუტერნი)
ლოკვენცი (კაიზერსლაუტერნი)
პროლისი (ლევერკუზენი)
ტროიანი (შალკე)
მისიმოვიჩი (ბაიერნი)
ნავიდკია (სეპაჰანი, ირანი)
ტეკანი (ახალგაზრდული გუნდიდან)
მატიპი (ახალგაზრდული გუნდიდან)

**წავიდნენ**

ოლისე (დორტმუნდი)
ბაკლი (არმინია)
ფარენჰორსტი (ვერდერი)
ფრაიერი (ლევერკუზენი)
ჰაშემიანი (ბაიერნი)
ბ. გუდიონსონი (ქოვენთრი, ინგლისი)
ვრიეზდე (ჰელმონდი, ჰოლანდია)

## ვოლფსბურგი

**მოვიდნენ**

აჰუმადა (რივერ პლეიტი, არგენტინა)
ბრდარიჩი (ლევერკუზენი)
მ. ხრისტოვი (კაიზერსლაუტერნი)
ჰოფლანდი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
ლენცი (მიუნხენ 1860)
ტ. მარიჩი (მიონხენგლადბახი)
მენსეგესი (რივერ პლეიტი, არგენტინა)
კიროგა (სპორტინგი, პორტუგალია)

**წავიდნენ**

ფ. ბაიანო (ფლამენგო, ბრაზილია)
კ. მადსენი (ჰანზა)
ლალატოვიჩი (შახტარი, უკრაინა)
პონსე (უნ. დე ჩილე, ჩილე)
კვატროკი (ვერაკრუსი, მექსიკა)
რამოვიჩი (მიონხენგლადბახი)
ბილიშკოვი (კონტრაქტი დაუმთავრდა)..
ჰრგოვიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## გლადბახი

**მოვიდნენ**

ფუკალი (ჰამბურგი)
კამპა (ნიურნბერგი)
ვან კერკჰოვენი (შალკე)
ნოივილი (ლევერკუზენი)
რამოვიჩი (ვოლფსბურგი)
სკოუბო (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი)
ციგე (ტოტენჰემი, ინგლისი)
ივიჩი (პარტიზანი, სერბეთი)

**წავიდნენ**

ასანინი (აალენი)
კეტელაერი (ნიურნბერგი)
ვან ლენტი (აინტრახტი)
ტ. მარიჩი (ვოლფსბურგი)
მ. ობრადოვიჩი (ლოკომოტივი, რუსეთი)
ოჯიგვე (მიუნხენ 1860)
რაიტმაიერი (ერფურტი)
რუბენი (რეალი, ესპანეთი)
შიოსლერი (პადერბორნი)
შტილი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ჰერტა

**მოვიდნენ**

ბაშთურქი (ლევერკუზენი)
ჟილბერტო (სან კაეტანო, ბრაზილია)
შრიოდერი (კიოლნი)
ტრემერი (ჰანოვერი)

**წავიდნენ**

გოორი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)
კირალი (კრისტალ პალასი, ინგლისი)
ლაპაჩინსკი (ჰანზა)
კარვანი (ლეგია, პოლონეთი)
კუშჩაკი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი)
პინტო (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## ფრაიბურგი

**მოვიდნენ**

დორნი (შანხაი შენხუა, ჩინეთი)
პიტროიპა (პლანეტე, ბურკინა ფასო)
ოლაიენგბეში (ჟულიუს ბერგერი, ლაოსი)

**წავიდნენ**

გიასუა (კაიზერსლაუტერნი)
გუიე-მიენი (კიოლნი)
მენერი (კარლსრუე)
ა. ცაიერი (თამაში მიატოვა)

## ჰანოვერი

**მოვიდნენ**

ბარნეტა (ლევერკუზენი)
ენკე (ბარსელონა, ესპანეთი)
იურიჩი (ლევერკუზენი)
ლეანდრო (იანგ ბოისი, შვეიცარია)
რიკარდუ სოუზა (ბოავიშტა, პორტუგალია)
ტარნატი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი)
ვალნერი (რაპიდი, ავსტრია)
შტეფული (ნიურნბერგი)

**წავიდნენ**

ხაიმე (დეპორტივო, ესპანეთი)
კლებერი (ბაზელი, შვეიცარია)
კონსტანტინიდისი (კიოლნი)
ნკუფო (ტვენტე, ჰოლანდია)
ოსვალდი (კარლსრუე)
როსე (მაინცი)
ტრემელი (ჰერტა)
შულერი (არმინია)
აბელ შავიერი (ალ აჰლი, ყატარი)
მ. ციგლერი (აუსტრია, ავსტრია)

## კაიზერსლაუტერნი

**მოვიდნენ**

ნერლინგერი (რეინჯერსი, შოტლანდია)
იანკერი (უდინეზე, იტალია)
ჰერჩი (აინტრახტი)
ამანატიდისი (აინტრახტი)
ზაიცი (შალკე)
მიკიჩი (დინამო, ხორვატია)
ზანდი (ლიუბეკი)
ენგელარდტი (კარლსრუე)
გიასულა (ფრაიბურგი)
ტებერი (ზალცბურგი, ავსტრია)
ფრომლოვიცი (ახალგაზრდული გუნდიდან)

**წავიდნენ**

კლოზე (ვერდერი)
ლოკვენცი (ბოხუმი)
კნავსი (ბოხუმი)
მ. ხრისტოვი (ვოლფსბურგი)
ლინკოლნი (შალკე)
ბიელიცა (ადმირა, ავსტრია)
გლიბო (რეგენსბურგი)
ჰენგენი (ალემანია)
დომინგუში (ალ აჰლი, ყატარი)
ს. როიტერი (ზაარბრიუკენი)

## ნიურნბერგი

**მოვიდნენ**

ბანოვიჩი (ვერდერი)
ბოსაცკი (ლეხი, პოლონეთი)
დაუნი (ვერდერი)
ლეანდრო და სილვა (ატლ. მინეირო, ბრაზილია)
ჰაიტო (შალკე)
კეტელაერი (მიონხენგლადბახი)
კლევერი (ჰანზა)
შროტი (მიუნხენ 1860)
ვაგეფელდი (დინამო, დრეზდენი)

**წავიდნენ**

ს. ჩირიჩი (ოფენბახი)
დავიდი (ერფურტი)
კამპა (მიონხენგლადბახი)
კოში (აუე)
კრჟინოვეკი (ლევერკუზენი)
კიოგლერი (ოსნაბრიუკი)
ნიხტი (ალემანია)
პასლაკი (იურდინგენი)
შტეფული (ჰანოვერი)
შტელე (ალემანია)
ვლადემირი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
დრილერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ტონი სანე (კონტრაქტი დაუმთავრდა)
რაფაელი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ფრაი (თამაში მიატოვა)

## არმინია

**მოვიდნენ**

ბაკლი (ბოხუმი)
კ. დურო (რიზესფორი, თურქეთი)
მ. ფინკი (შტუტგარტი)
მ. მარიჩი (კერნტენი, ავსტრია)
რადუჩანუ (ესპანიოლი, ესპანეთი)
შულერი (ჰანოვერი)
ტრაიანოვი (ლოკომოტივი, ბულგარეთი)

**წავიდნენ**

ამედიკი (ბრაუნშვაიგი)
ბენშნაიდერი (კიოლნი)
რადტკე (ტრირი)
სინისტერა (დუისბურგი)
ვიოლშოვი (აალენი)
მურავსკი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სადოვიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

## მაინცი

**მოვიდნენ**

კეისი (კარლსრუე)
იოვანოვიჩი (დინამო, დრეზდენი)
ნოვესკი (აუე)
ვაიგელტი (ესენი)
მ. ფრიდრიხი (ვერდერი)
როსე (ჰანოვერი)

**წავიდნენ**

კიონე (კილი)
ს. შვარცი (ესენი)
ტიურკი (კოტბუსი)
ციგნერი (კარლ ცეისი)
ბულაიჩი (კონტრაქტი დაუმთავრდა)
სპერანცა (კონტრაქტი დაუმთავრდა)
ვალკერი (კონტრაქტი დაუმთავრდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლიპის ერთი მიზანი და სამი ვარიანტი

**მარჩელო ლიპის** იტალიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ „გაძეტა დელო სპორტს“ განუცხადა, რომ 2006 წლის მუნდიალის მოგება სურს: „ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები უნდა გავხდეთ. მე ისეთი გუნდის შექმნას ვაპირებ, რომელიც შესარჩევი ეტაპის ნებისმიერ მატჩში თუ ამხანაგურ შეხვედრაში მოსაგებად იბრძოლებს და ერთი მიზანი ექნება — მსოფლიოს ჩემპიონობა! სწორი გადაწყვეტილება მივიღე, როცა ნაკრების მწვრთნელობას დავყაბულდი, რადგან საამისოდ საკმაო ცოდნა-გამოცდილება დამიგროვდა. ერთი წლის წინ „იუვენტუსთან“ კონტრაქტი რომ აღარ გავაგრძელე, ხალხმა თქვა, ლიპი „სკუადრა აძურას“ უმიზნებსო, მაგრამ ასე არ იყო. მე მხოლოდ „იუვენტუსთან“ ჩემი თანამშრომლობის დასრულების შესახებ განვაცხადე და ტრაპატონის ადგილის დაკავება მაშინ არც მიფიქრია“.

2003 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანთან“ პენალტებით დამარცხების შემდეგ მარჩელო ლიპიმ ფეხბურთიდან სამუდამოდ წასვლა დააპირა, რაკი სამი წაგებული ფინალი მოუგროვდა და უიღბლობამ დათრგუნა.

„შარშან შემოდგომაზე რამდენიმე კლუბი დამიკავშირდა და სამუშაო შემომთავაზა, მაგრამ ყველა უარით გავისტუმრე. მწვრთნელობა და ფეხბურთის გაგონებაც კი აღარ მინდოდა. თუმც იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წინადადება იმდენად მაცდური გამოდგა, რომ დავთანხმდი“.

„სკუადრა აძურა“ ლიპის ხელქვეით პირველ მატჩს აგვისტოში ისლანდიასთან გამართავს.

„იმ კლუბებთან, რომლებშიც ნაკრების ფეხბურთელები არიან, გართულება არ მექნება. ვისაც თხემით ტერფამდე ვიცნობ, ამხანაგურ შეხვედრაში ათი წუთისთვის არ გამოვიძახებ. არც ვაჭრობას დავუწყებ გუნდების მწვრთნელებს, რომ ნაკრების კანდიდატებს ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ მეტი დრო დაუთმონ“— ამბობს ლიპი.

ევრო 2004 იტალიისთვის ნაადრევად დასრულდა, მაგრამ შვედეთთან მატჩის პირველი ტაიმი ლიპისთვის სამაგალითოა, ტაქტიკას კი ახალი მწვრთნელი თავისებურად შეარჩევს. „ევროპაში 4-4-2-ს და 4-2-3-1-ს ყველაზე ხშირად იყენებენ, მაგრამ სერია A-ში მრავალმხრივი ვარიაციების საშუალება მქონდა. ამიტომ სამი ვარიანტი შევარჩიე: კლასიკური 4-4-2, ჯოვანი ტრაპატონის 4-2-3-1 ან „მილანის“ 4-3-1-2.“

**ვაჟა ხუციშვილი**



# GOOD BYE ENGLAND



**პოლ სქოულზმა** გუშინ სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალურად განაცხადა. 29 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც 66 მატჩში 14 გოლი გაუტანია, თქვა: „გადაწყვეტილების მიღებამდე ყველაფერი ავწონ-დავწონე. ნაკრების დატოვებაზე ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ვფიქრობდი და დავრწმუნდი, რომ ასე აჯობებს. ჩემი დებიუტი 1997 წელს შედგა და შვიდი წლის განმავლობაში ინგლისს ალალად ვემსახურე. პორტუგალიიდან დაბრუნებულმა ვითარება შევაფასე და მივხვდი, რომ საკლუბო კარიერისთვისაც და ოჯახისთვისაც ეროვნული გუნდიდან ჩემი წასვლა უკეთესი იქნებოდა. ყველას მადლობას ვუხდი და ნაკრებს, მწვრთნელ-ფეხბურთელებიანად წარმატებას ვუსურვებ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სიყვარულის ახსნა ჩეხურად

## ნედვედმა ნაკრებს ბებერ ქალბატონთან უღალატა

**პაველ ნედვედმა** შესაძლოა, სანაკრებო კარიერა დაასრულოს და თავისი ჯან-ღონე მხოლოდ „იუვენტუსს“ მოახმაროს.

„კარელ ბრუკნერს უკვე ვესაუბრე და ვფიქრობ, წასვლის დრო დადგა, აგვისტოში ამის შესახებ ოფიციალურად განვაცხადებ. არასწორად მიმაჩნია, რომ ევროპის ჩემპიონატზე ტრავმიანმა ვითამაშე, ახლა კი „იუვენტუსისთვის“ გამოუსადეგარი გავხდი, რადგან მკურნალობა მჭირდება. ნაკრებს ჩამოვშორდები და თავს მთლიანად „იუვენტუსს“ მივუძღვნი, ამ გუნდისგან ხომ დიდად დავალებული ვარ“ — თქვა ფეხბურთელმა და მის განცხადებას კლუბის ვებ-გვერდზე „იუვენტუსისთვის“ სიყვარულის ახსნა უწოდეს.

პაველ ნედვედის სანაკრებო დებიუტი 1994 წელს ირლანდიასთან მატჩში შედგა და მას შემდეგ 83-ჯერ მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სინიშა მიხაილოვიჩი ინტერშიც ვერ დაკაცდა




„ინტერის“ მაისურით შემოსილმა სინიშა მიხაილოვიჩმა ახალი კლუბისთვის საქებარი სიტყვები არ დაიშურა: „ამჟამინდელი „ინტერი“ იმ „ლაციოს“ მაგონებს, ჩემპიონი რომ გახდა, დიდ გუნდს მხოლოდ მაღალი კლასის ფეხბურთელებით ვერ შექმნი, მებრძოლი სულია საჭირო, რაც აქ ნაღდად არსებობს. ყველა საჩემპიონოდაა შემართული. რობერტო მანჩინის ამ მხრივ კარგად უმუშავია. „ინტერში“ ვერ მნახავდით, მანჩინი რომ არ გადმოსულიყო, მაგრამ ეს ფაქტი ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას არ მაძლევს. „ინტერს“ მიხაილოვიჩის ცოდნა, გამოცდილება და ბრძოლისუნარიანობა ძალიან გამოადგება. სეზონის ბოლოს თავად ნახავთ, რომ „შავ-ლურჯები“ არ შემცდარან ჩემს ტრანსფერში. რაც შეეხება ასაკს, 35 წლის კი ვარ, მაგრამ 18 წლის ბიჭივით ვგრძნობ თავს. გამარჯვების სურვილი სისხლში მაქვს“.

სინიშა მიხაილოვიჩმა ის დროც გაიხსენა, „სამპდორიაში“ მანჩინისთან ერთად რომ თამაშობდა: „ჩვენ ხშირად ვკამათობდით, მაგრამ ერთმანეთს სიხარულსაც ვუზიარებდით. ორივე ძლიერი პიროვნებები ვართ და ერთმანეთის საფეხბურთო ფილოსოფიასაც ვიზიარებთ. პირველად 1991 წელს ვნახე, მაშინ „ცრვენა ზვეზდაში“ ვთამაშობდი, ის კი „სამპდორიაში“ იყო“.

მანჩინისეულ სამწვრთნელო მეთოდებზე კი სერბი ამბობს: „ვფიქრობ, რომ მცირე ჩავარდნების მიუხედავად, ის სწორ გზაზე დგას. „მანჩო“ ნებისმიერ წვრილმანს ყურადღებას აქცევს და მატჩის მსვლელობისას მთლიანად თამაშშია ჩართული“.

სერბი ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს „ბაზელთან“ გამოტოვებს, რადგან დისკვალიფიცირებულია. მიხაილოვიჩმა შარშან, „ჩელსისთან“ საშინაო მატჩში ადრიან მუტუს შეაფურთხა და ამიტომაა დასჯილი.

„ბაზელთან“ ობაფემი მარტინსიც ვერ ითამაშებს. ნიგერიელმა ფორვარდმა „ბოლტონთან“ ამხანაგურ შეხვედრაში მარჯვენა მუხლი იტკინა.

**ვაჟა ხუციშვილი**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# მადრიდი ახლოა

## პატრიკ ვიეირას მალე გაყიდიან

„არსენალმა“ და მადრიდის „რეალმა“ ერთად იუარეს სიტყვის თქმა პატრიკ ვიეირას ლონდონიდან მადრიდში 18 მილიონგირვანქიანი (30 მილიონი ევრო) შესაძლო გადაბარგების გამო.

ესპანურმა გაზეთმა „მარკამ“ გუშინ დაწერა, რომ „რეალმა“ ფორმალურად მიმართა „არსენალს“ ვიეირას მისთვის მიყიდვის თხოვნით.

„მეთოფეთა“ ოფიციალურ განცხადებაში კი ნათქვამია, რომ კლუბი მანამდე არ ამოიღებს ხმას, სანამ ფეხბურთელი ან არ წავა, ან არ დარჩება. „რეალმა“ საერთოდაც ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ამ საქმის არაფერი ვიცითო.

„მარკას“ ცნობით კი მოლაპარაკება დასკვნით დღეს უახლოვდება და მალე ვიეირა მადრიდელი გახდება. „არსენალის“ მენეჯერი არსენ ვენგერი კი თითქოს გაბრაზებული ამბობს: „ჩვენ ფული არ გვჭირდება, ფული არასდროსაა გადამწყვეტი „არსენალისთვის“, ჩვენ „ჩელსი“ არა ვართ და მხოლოდ ფულისთვის არ ვყიდით ფეხბურთელებს. მე ვიეირა მჭირდება“.






არსენ ვენგერს პატრიკ ვიეირა ჯერ კიდევ სჭირდება

# ის შეიძლება დაბრუნდეს



რობერტო ბაჯო ჯერ საკუთარ სხ[illegible]ულს დაეკითხება

რობერტო ბაჯომ გასული სეზონის ბოლოს კარიერა დაასრულა, მაგრამ შესაძლოა, კვლავაც დაბრუნდეს და ქომაგი ფეხბურთით დაატკბოს. დიდ იტალიელს „ბოლონია“ და „ფიორენტინა“ ეპატიჟებიან. „საკმაოდ საინტერესო წინადადებები მივიღე, მაგრამ ჯერ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა უნდა შევამოწმო და პასუხს მერე ვიტყვი“ — განაცხადა ფეხბურთელმა.

37 წლის ბაჯომ ბუცების ჩამოკიდება ორი თვის წინ გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ მეგობრები კარიერის გაგრძელებას სთხოვდნენ, ახლა კი გამორიცხული არაა, გადაწყვეტილება შეცვალოს. მისი გადაბირება განსაკუთრებით „ფიორენტინას“ სურს, რადგან ამ გუნდში ოთხი სეზონი გაუტარებია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბექემის მისტიკური ბუცები 500 გირვანქად

დევიდ ბექემი პენალტებს აღ[illegible]არ გააცუდებს და მისი პირადი [illegible]ცხოვრებაც დალაგდება, რადგან, ამიერიდან მისტიკური ბუცებ[illegible]ით ითამაშებს. ინგლისელმა ფეხბურთელმა 723 წყვილი ბუცი შეუკვეთა, რომლებზეც ჩინური მოძღვრების, ფენ-შუის ორი სიმბოლოს, „ინის“ და „იანის“ ნიშნები იქნება გამოსახული. ფეხსამოსი წითელ და ვერცხლისფერშია გაწყობილი.



ბექემის თქმით, „ინი“ და „იანი“ ერთმანეთს გააწონასწორებს და ცხოვრებაშიც ჰარმონიას დაუმკვიდრებს. რაც შეეხება ფერებს, წითელი ძალას გამოხატავს, გულისა და სასუნთქი სისტემის მუშაობას აუმჯობესებს, ხოლო ვერცხლისფერი სიწმინდისა და ფასეულობის სიმბოლოა.

რას ნიშნავს 723? დევიდ ბექემი 7-ნომრიანი მაისურით „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდა, 23-ნომრიანით კი „რეალში“ აგორებს ბურთს. ცხადია, 723-ვეს ფეხბურთელი ვერ მოიხმარს. მან თავისთვის რიგით პირველი, მეშვიდე, 23-ე და 723-ე წყვილები დაიტოვა, დანარჩენებს კი თითოეულს 500 გირვანქად გაყიდიან.



**ვაჟა ხუციშვილი**



**ესპანური** „ბეტისის“ ვარსკვლავ ხოაკინ სანჩესზე ამბობენ, მადრიდის „რეალი“ ლუიშ ფიგუს გუნდიდან წასვლის შემდეგ სწორედ ხოაკინს შეიძენსო. „ფიგუ ჩემი კერპია და ყოველთვის ვცდილობდი, მისთვის მიმებაძა. იგი პროფესიონალია, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ. რაც შეეხება ჭორებს, ეს არასერიოზულად მიმაჩნია. მან რომც დატოვოს მადრიდი, ამას ჩემთან არანაირი კავშირ[illegible]ი არ ექნება“ — აღნიშნა ახალგაზრდა ნახევარმცველმა.

**იტალიური** „რომა“ კვლავაც ფორვარდის ძიებაშია და ბრაზილიელ ლუის ფაბიანოს არ ეშვება. დედაქალაქელები მზად არიან, „სან პაულუს“ 10 მილიონი ევრო გადაუხადონ, მაგრამ მათ სერიოზული კონკურენტი ჰყავთ: მოსკოვის ცსკა ყაბულსაა, ფაბიანოში 16 მილიონი გაიღოს, მაგრამ თავად ფეხბურთელზეც ბევრი რამაა დამოკიდებული.

**გერმანული** „ვერდერის“ ფრანგმა გამთამაშებელმა იოან მიკუმ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა. მხარეებს შორის დიდი ხანია, მოლაპარაკება მიმდინარეობდა და საბოლოოდ ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. 31 წლის მიკუ 2007 წლამდე „ბრემენელი მუსიკოსი“ იქნება. შეგახსენებთ, რომ ფრანგმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გასულ სეზონში „ვერდერის“ გაჩემპიონებაში.

**არგენტინელმა** არბიტრმა ფაბიან მადორანმა ცხოვრება თვითმკვლელობით დაასრულა. მან მსაჯობა ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციასთან კონფლიქტის გამო გასული წლის სექტემბერში მიატოვა. იქიდან მოყოლებული კი დღემდე უშედეგოდ ითხოვდა გარკვეულ თანხას, რომელიც მას არგენტინის ჩემპიონატის მატჩების მსაჯობისთვის ეკუთვნოდა. 39 წლის მადორანმა იარაღით მოიკლა თავი.

**ურუგვაელი** თავდამსხმელი დიეგო ფორლანი სავარაუდოდ მადრიდის „ატლეტიკოში“ გადავა. ფორლანს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძირითადში მოხვედრის იმედი ალან სმიტის გამოჩენის შემდეგ საბოლოოდ გადაეწურა. იგი „წითელ ეშმაკებს“ 2002 წელს შეუერთდა, მაგრამ კლუბის წამყვან ფორვარდად გადაქცევა ვერ შეძლო. ახლა კი ფორლანმა საჯაროდ განაცხადა, მადრიდის მეორე დიდ კლუბში სიამოვნებით ვითამაშებდიო.

**იტალიური** კლუბები — „იუვენტუსი“ და „ფიორენტინა“ ადრიან მუტუს გადაბირებას ცდილობენ. ლონდონურ „ჩელსიში“ დიდიე დროგბასა და მატეა კეჟმანის მისვლის შემდეგ რუმინელი სიამოვნებით დაბრუნდება იტალიაში, მაგრამ „არისტოკრატები“ მასში საკმაოდ დიდ თანხას ითხოვენ. აქედან გამომდინარე, დიდი შანსია, „ბებერმა ქალბატონმა“ ან „იებმა“ მუტუ ერთი სეზონით ინათხოვრონ.

**არგენტინელი** მცველი გაბრიელ შურერი „სოსიედადიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით ბერძნულ „ოლიმპიაკოსში“ ჩაირიცხა. მან კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, გახანგრძლივების პერსპექტივით. „ბედნიერებაა საბერძნეთის უძლიერეს კლუბში მოხვედრა. ჩემი მთავარი მიზანია, დავეხმარო გუნდს, რათა მან ქვეყნის ჩემპიონობა დაიბრუნოს და ჩემპიონთა ლიგაშიც წარმატებით ითამაშოს“ — თქვა 32 წლის შურერმა.

**იტალიური** „ნაპოლი“ საბოლოოდ გაკოტრდა და მომავალ სეზონს სერია C1-ში დაიწყებს. „თანავუგრძნობ გუნდის ყოფილ პრეზიდენტ სალვატორე ნალდის. მან ლეგენდარული კლუბის გადასარჩენად დიდი ფული და ენერგია არ დაიშურა, მაგრამ...“ — მწუხარებით აღნიშნა „ნაპოლის“ ამჟამინდელმა მფლობელმა ლუჩანო გაუჩიმ.

**ინგლისურ** „ლივერპულს“ მილანის „ინტერიდან“ არგენტინელი კილი გონსალესის გადაბირება სურს. მერსისაიდელთა მწვრთნელ რაფაელ ბენიტესს კილი ჩეხი ვლადიმირ შმიცერის შემცვლელად ეგულება. ეს უკანასკნელი კი იცით, ტრავმირებულია. „ლივერპულის“ უფროსობა ფიქრობს, „ინტერში“ ბევრი ნახევარმცველი დაგროვდა, არგენტინელსაც ძირითადში მოხვედრის შანსი ნაკლებად ექნება და ეგებ, დავიყოლიოთო.

### ნორვეგია

ტიპელიგა. XVI ტური

ბრანი 1:1 ვოლერენგა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსენბორგი | 16 | 8 | 6 | 2 | 32:19 | 30 |
| ტრომსიო | 16 | 9 | 2 | 5 | 28:19 | 29 |
| ლილესტრიომი | 16 | 7 | 6 | 3 | 35:17 | 27 |
| ჰამ კამი | 16 | 7 | 5 | 4 | 24:22 | 26 |
| ვოლერენგა | 16 | 6 | 6 | 4 | 17:16 | 24 |
| ლინი | 16 | 6 | 5 | 5 | 20:17 | 23 |
| ბრანი | 16 | 7 | 2 | 7 | 28:28 | 23 |
| ოდ გრენლანდი | 16 | 5 | 7 | 4 | 29:26 | 22 |
| სტაბეკი | 16 | 5 | 4 | 7 | 16:23 | 19 |
| [illegible]ოლდე | 16 | 4 | 6 | 6 | 20:23 | 18 |
| ბოდიო გლიმტი | 16 | 5 | 3 | 8 | 20:29 | 18 |
| ვიკინგი | 16 | 3 | 8 | 5 | 15:22 | 17 |
| სოგნდალი | 16 | 3 | 5 | 8 | 25:33 | 14 |
| ფრედრიკსტადი | 16 | 3 | 3 | 10 | 23:38 | 12 |

### შვედეთი

ალსვენსკა. XIV ტური

ტრელებორგი 2:2 ჰამარბი

ელფსბორგი 3:1 სუნდსვალი

ლანდსკრონა 0:4 ჰალმსტადი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 14 | 9 | 3 | 2 | 33:16 | 30 |
| მალმიო | 14 | 8 | 5 | 1 | 22:6 | 29 |
| ჰამარბი | 14 | 8 | 3 | 3 | 18:11 | 27 |
| კალმარი | 14 | 5 | 6 | 3 | 17:13 | 21 |
| გიოტებორგი | 13 | 5 | 4 | 4 | 13:10 | 19 |
| ელფსბორგი | 14 | 5 | 4 | 5 | 12:16 | 19 |
| სუნდსვალი | 14 | 4 | 6 | 4 | 15:16 | 18 |
| ი[illegible]ერგორდენი | 14 | 4 | 5 | 5 | 20:22 | 17 |
| [illegible]ორებრო | 14 | 4 | 4 | 6 | 17:29 | 16 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 3 | 5 | 5 | 23:18 | 14 |
| იორგრიტე | 14 | 2 | 7 | 5 | 13:18 | 13 |
| აიკ | 14 | 3 | 4 | 7 | 9:17 | 13 |
| ლანდსკრონა | 14 | 2 | 6 | 6 | 13:21 | 12 |
| ტრელებორგი | 14 | 2 | 4 | 8 | 10:22 | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. ჩემპიონატი. I ტური

7 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.15 | 051 | ლიდსი-დერბი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.00 | 052 | ბარნლი-შეფილდი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 18.00 | 053 | ქრიუ-კარდიფი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 18.00 | 054 | იფსვიჩი-ჯილინგემი | 1,55 | 3,4 | 6,0 | 1,06 | 1,23 | 2,17 |
| 18.00 | 055 | ლესტერი-ვესტ ჰემი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 18.00 | 056 | პლიმუთი-მილუოლი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 18.00 | 057 | პრესტონი-უოტფორდი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 058 | ქპრ-როტერჰემი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 18.00 | 059 | რედინგი-ბრაიტონი | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| 18.00 | 060 | უიგანი-ნოტინგემი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 20.35 | 061 | ქოვენთრი-სანდერლენდი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |

8 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:15 | 062 | სტოკი-ვულვერჰემპტონი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |

### ინგლისი. I ლიგა. I ტური

7 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 068 | ბრისტოლი-ტორკი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 18.00 | 069 | ჩესტერფილდი-ბრენტფორდი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 18.00 | 070 | დონკასტერი-ბლეკპული | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 18.00 | 071 | ჰარტლპული-ბრედფორდი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 18.00 | 072 | ჰალი-ბორნმუთი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 18.00 | 073 | ლუტონი-ოლდემი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 18.00 | 074 | დონსი-ბარნსლი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 075 | პიტერბრო-ტრანმერი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| 18.00 | 076 | უენსდი-კოლჩესტერი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 18.00 | 077 | სტოკპორტი-ჰადერსფილდი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 18.00 | 078 | უოლსოლი-პორტ ვეილი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 18.00 | 079 | რექსემი-სუინდონი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |

### ინგლისი. II ლიგა. I ტური

7 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 083 | ბოსტონი-ოქსფორდი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 18.00 | 084 | ბერი-იოვილი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 18.00 | 085 | დარლინგტონი-გრიმსბი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 18.00 | 086 | ლეიტონი-მაკლსფილდი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 18.00 | 087 | მენსფილდი-როვერსი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 18.00 | 088 | ნოტსი-ჩესტერი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 18.00 | 089 | რაშდენი-კიდერმინსტერი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 18.00 | 090 | სკანთორპი-როჩდეილი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 18.00 | 091 | შრიუსბერი-ლინკოლნი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 18.00 | 092 | საუთენდი-ჩელტენემი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 18.00 | 093 | სუონსი-ნორთჰემპტონი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 18.00 | 094 | უიკომბი-კემბრიჯი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა. I ტური

7 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 098 | აბერდინი-რეინჯერსი | 7,0 | 3,6 | 1,45 | 2,37 | 1,2 | 1,03 |
| 18.00 | 099 | დანდი-ჰართსი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 18.00 | 100 | დანფერმლაინი-დანდი იუნაიტედი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 18.00 | 101 | ჰიბერნიანი-კილმარნოკი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 18.00 | 102 | ლივინგსტონი-ინვერნესი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |

8 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 103 | სელტიკი-მოზერუელი | 1,1 | 7,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,66 |

### შოტლანდია. I დივიზიონი. I ტური

7 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 106 | ერდრი-სტ.ჯონსტონი | 2,8 | 3,4 | 2,15 | 1,53 | 1,21 | 1,31 |
| 18.00 | 107 | კლაიდი-პარტიკი | 2,6 | 3,4 | 2,25 | 1,47 | 1,2 | 1,35 |
| 18.00 | 108 | ჰამილტონი-რეითი | 1,95 | 3,4 | 3,2 | 1,23 | 1,21 | 1,64 |
| 18.00 | 109 | ქუინი-როსი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 18.00 | 110 | სტ.მირენი-ფოლკირკი | 2,4 | 3,4 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,4 |

### შოტლანდია. II დივიზიონი. I ტური

7 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 113 | ბერიკი-მორტონი | 2,6 | 3,5 | 2,2 | 1,49 | 1,19 | 1,35 |
| 18.00 | 114 | დამბარტონი-ეარი | 2,25 | 3,4 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,47 |
| 18.00 | 115 | ფორფარი-ბრეჩინი | 2,8 | 3,5 | 2,1 | 1,55 | 1,19 | 1,31 |
| 18.00 | 116 | სტირლინგი-არბროთი | 2,15 | 3,5 | 2,7 | 1,33 | 1,19 | 1,52 |
| 18.00 | 117 | სტრანრარი-ალოა | 2,15 | 3,5 | 2,7 | 1,33 | 1,19 | 1,52 |

### შოტლანდია. III დივიზიონი. I ტური

7 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 120 | ისტ ფაიფი-მონტროუზი | 1,7 | 3,6 | 3,8 | 1,15 | 1,17 | 1,84 |
| 18.00 | 121 | გრეტნა-ალბიონი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 18.00 | 122 | პიტერჰედი-ისტ სტირლინგი | 1,15 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,04 | 3,71 |
| 18.00 | 123 | ქუინზ პარკი-კოუდენბითი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 18.00 | 124 | სტენჰაუზმური-ელგინი | 1,5 | 4,0 | 5,0 | 1,09 | 1,15 | 2,22 |

### გერმანია. ბუნდესლიგა. I ტური

6 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 001 | ვერდერი-შალკე | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |

7 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 002 | ფრაიბურგი-ჰანზა | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 17.30 | 003 | ჰერტა-ბოხუმი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 17.30 | 004 | ჰამბურგი-ბაიერნი | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| 17.30 | 005 | დარტმუნდი-ვოლფსბურგი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.30 | 006 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |

8 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 008 | შტუტგარტი-მაინცი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 19.30 | 009 | არმინია-მიონხენგლადბახი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. I ტური

7 აგვისტო

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15.00 | 127 | დინამო-დუისბურგი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 15.00 | 128 | ესენი-აუე | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 15.00 | 129 | კარლსრუე-ბურგჰაუზენი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 130 | ფიურტი-ალენი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 17.00 | 131 | ობერჰაუზენი-ტრირი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 17.00 | 132 | კიოლნი-კოტბუსი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 17.00 | 133 | მიუნხენი-უნტერჰახინგი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 17.00 | 134 | ზაარბრიუკენი-ერფურტი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 22.15 | 135 | ალემანია-აინტრახტი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. I ტური**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 22.45 | 163 | ნიცა-ლიონი | 3,3 | 3,1 | 2,15 | 1,59 | 1,3 | 1,26 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 19.15 | 164 | სტ.ეტიენი-მონაკო | 3,1 | 3,1 | 2,25 | 1,55 | 1,3 | 1,3 |
| 22.00 | 165 | ბასტია-სტრასბური | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 22.00 | 166 | კაენი-ისტრი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 22.00 | 167 | ლილი-ოსერი | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |
| 22.00 | 168 | მარსელი-ბორდო | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 22.00 | 169 | მეცი-ნანტი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 22.00 | 170 | რენი-პსჟ | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| 22.00 | 171 | სოშო-აიაჩო | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 22.00 | 172 | ტულუზი-ლანსი | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. I ტური**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 176 | ბრესტი-ნანსი | 2,4 | 2,7 | 3,1 | 1,27 | 1,35 | 1,44 |
| 22.00 | 177 | შატორუ-ანჟე | 1,7 | 3,0 | 5,3 | 1,08 | 1,28 | 1,91 |
| 22.00 | 178 | გენიონი-ამიენი | 2,25 | 2,7 | 3,4 | 1,22 | 1,35 | 1,5 |
| 22.00 | 179 | გრენობლი-გენგამი | 2,7 | 2,7 | 2,7 | 1,35 | 1,35 | 1,35 |
| 22.00 | 180 | ლავალი-დიჟონი | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| 22.00 | 181 | ლე მანი-კლერმონი | 1,65 | 3,0 | 6,0 | 1,06 | 1,29 | 2 |
| 22.00 | 182 | რეიმსი-კრეტეი | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 22.00 | 183 | სედანი-ლორიანი | 2,1 | 2,6 | 4,0 | 1,16 | 1,37 | 1,57 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 184 | მონპელიე-ტრუა | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| | | **9 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 185 | ლე ავრი-ნიორი | 1,75 | 2,8 | 5,3 | 1,07 | 1,31 | 1,83 |

**ბელგია. I დივიზიონი. I ტური**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 189 | მუსკრონი-ანდერლეხტი | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 190 | ბევერენი-ბრიუგე | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 22.00 | 191 | სტ.ტრუიდენი-მონსი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 22.00 | 192 | ბრიუსელი-გენკი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 22.00 | 193 | სერკლი-ლოკერენი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 22.00 | 194 | გენტი-ბეერსხოტი | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 22.00 | 195 | ლიერსი-სტანდარდი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 196 | ოსტენდე-ვესტერლო | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.00 | 197 | შარლერუა-ლუვიე | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა. IV ტური**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 202 | გრაცერი-შტურმი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **7 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 201 | ადმირა-მატერსბურგი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 21.30 | 203 | პაშინგი-აუსტრია | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| 21.30 | 204 | რაპიდი-ზალცბურგი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 205 | ტიროლი-ბრეგენცი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | [illegible] |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რუსეთი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აგვისტო** | | | | | | |
| 16.00 | 338 | კუბანი-სპარტაკი | 3,5 | 3,0 | 2,0 | 1,61 | 1,27 | 1,2 |

**ინგლისი. სუპერთასი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **8 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 456 | არსენალი-მანჩესტერი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |

**ჩემპიონთა ლიგა. II შესარჩევი ეტაპი. II მატჩები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 465 | ცსკა-ნეფთჩი | 1,1 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,19 |
| 20.00 | 466 | მაკაბი-ჰიკ | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 20.00 | 467 | შახტარი-პიუნიკი | | | | | | |
| 20.30 | 468 | ტრაბზონი-სკონტო | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 21.00 | 469 | შერიფი-რუსენბორგი | 4,6 | 3,4 | 1,65 | 1,95 | 1,21 | 1,11 |
| 22.00 | 470 | დინამო(ბქ)-ჟილინა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 22.00 | 471 | კოპენჰაგენი-გორიცა | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 22.00 | 472 | ლოკომოტივი(პლ)-ბრიუგე | 3,2 | 3,2 | 2,05 | 1,6 | 1,24 | 1,24 |
| 22.00 | 473 | სპარტა-აპოელი | 1,12 | 5,6 | 12,0 | 1 | 1,02 | 3,81 |
| 22.15 | 474 | ცრვენა ზვეზდა-იანგ ბოისი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 22.15 | 476 | კაუნასი-იურგორდენი | 3,2 | 3,2 | 2,05 | 1,6 | 1,24 | 1,24 |
| 22.45 | 478 | შელბურნი-ჰაიდუკი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,52 | 1,26 | 1,28 |

**ინტერტოტოს თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **4 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 482 | სლავენი-ლილი | 2,7 | 3,1 | 2,35 | 1,44 | 1,25 | 1,33 |
| 22.00 | 483 | ნანტი-ლიბერეცი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 22.15 | 484 | ჰამბურგი-ვილიარეალი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 23.45 | 485 | ატლეტიკო-ოფკ | 1,35 | 4,2 | 7,0 | 1,02 | 1,13 | 2,62 |
| 24.00 | 486 | ლეირია-გენკი | 1,95 | 3,1 | 3,5 | 1,19 | 1,25 | 1,64 |



# პორტუგალია. I დივიზიონი 2004-2005




ვიტორ ბაიამ და „პორტუმ" წინა სეზონში ქომაგები ჩემპიონობით გაახარეს

## 2004 წელი

**1-ლი ტური: 29 აგვისტო**

აკადემიკა : ბრაგა
მორეირენსე : გიმარაეში
ბოავიშტა : ნასიონალი
პენაფიელი : სეტუბალი
ეშტორილი : რიუ ავე
ბეირა მარი : ბენფიკა
სპორტინგი : ჟილ ვისენტე
ბელენენსეში : მარიტიმუ
პორტუ : ლეირია

**მე-2 ტური: 12 სექტემბერი**

გიმარაეში : აკადემიკა
ბენფიკა : მორეირენსე
ნასიონალი : ბეირა მარი
ბრაგა : პორტუ
ჟილ ვისენტე : ბოავიშტა
სეტუბალი : სპორტინგი
მარიტიმუ : პენაფიელი
ლეირია : ეშტორილი
რიუ ავე : ბელენენსეში

**მე-3 ტური: 19 სექტემბერი**

მორეირენსე : ნასიონალი
ბრაგა : გიმარაეში
აკადემიკა : ბენფიკა
ბეირა მარი : ჟილ ვისენტე
სპორტინგი : მარიტიმუ
ბელენენსეში : ლეირია
ბოავიშტა : სეტუბალი
პორტუ : ეშტორილი
პენაფიელი : რიუ ავე

**მე-4 ტური: 26 სექტემბერი**

ნასიონალი : აკადემიკა
ბენფიკა : ბრაგა
ჟილ ვისენტე : მორეირენსე
გიმარაეში : პორტუ
სეტუბალი : ბეირა მარი
რიუ ავე : სპორტინგი
მარიტიმუ : ბოავიშტა
ლეირია : პენაფიელი
ეშტორილი : ბელენენსეში

**მე-5 ტური: 3 ოქტომბერი**

გიმარაეში : ბენფიკა
აკადემიკა : ჟილ ვისენტე
ბრაგა : ნასიონალი
მორეირენსე : სეტუბალი
ბოავიშტა : რიუ ავე
ბეირა მარი : მარიტიმუ
სპორტინგი : ლეირია
პენაფიელი : ეშტორილი
პორტუ : ბელენენსეში

**მე-6 ტური: 17 ოქტომბერი**

ბენფიკა : პორტუ
ნასიონალი : გიმარაეში
სეტუბალი : აკადემიკა
ჟილ ვისენტე : ბრაგა
ლეირია : ბოავიშტა
მარიტიმუ : მორეირენსე
რიუ ავე : ბეირა მარი
ეშტორილი : სპორტინგი
ბელენენსეში : პენაფიელი

**მე-7 ტური: 24 ოქტომბერი**

ბენფიკა : ნასიონალი
ბრაგა : სეტუბალი
გიმარაეში : ჟილ ვისენტე
აკადემიკა : მარიტიმუ
ბეირა მარი : ლეირია
სპორტინგი : ბელენენსეში
მორეირენსე : რიუ ავე
ბოავიშტა : ეშტორილი
პორტუ : პენაფიელი

**მე-8 ტური: 31 ოქტომბერი**

ნასიონალი : პორტუ
ჟილ ვისენტე : ბენფიკა
მარიტიმუ : ბრაგა
ლეირია : მორეირენსე
სეტუბალი : გიმარაეში
რიუ ავე : აკადემიკა
ეშტორილი : ბეირა მარი
პენაფიელი : სპორტინგი
ბელენენსეში : ბოავიშტა

**მე-9 ტური: 7 ნოემბერი**

ნასიონალი : ჟილ ვისენტე
გიმარაეში : მარიტიმუ
ბენფიკა : სეტუბალი
ბრაგა : რიუ ავე
აკადემიკა : ლეირია
ბეირა მარი : ბელენენსეში
პორტუ : სპორტინგი
მორეირენსე : ეშტორილი
ბოავიშტა : პენაფიელი

**მე-10 ტური: 13 ნოემბერი**

ჟილ ვისენტე : პორტუ
სეტუბალი : ნასიონალი
მარიტიმუ : ბენფიკა
ლეირია : ბრაგა
ბელენენსეში : მორეირენსე
რიუ ავე : გიმარაეში
ეშტორილი : აკადემიკა
პენაფიელი : ბეირა მარი
სპორტინგი : ბოავიშტა

**მე-11 ტური: 21 ნოემბერი**

ჟილ ვისენტე : სეტუბალი
ბენფიკა : რიუ ავე
ნასიონალი : მარიტიმუ
გიმარაეში : ლეირია
ბრაგა : ეშტორილი
მორეირენსე : პენაფიელი
პორტუ : ბოავიშტა
აკადემიკა : ბელენენსეში
ბეირა მარი : სპორტინგი

**მე-12 ტური: 28 ნოემბერი**

სეტუბალი : პორტუ
რიუ ავე : ნასიონალი
მარიტიმუ : ჟილ ვისენტე
ლეირია : ბენფიკა
ბელენენსეში : ბრაგა
სპორტინგი : მორეირენსე
ეშტორილი : გიმარაეში
პენაფიელი : აკადემიკა
ბოავიშტა : ბეირა მარი

**მე-13 ტური: 5 დეკემბერი**

სეტუბალი : მარიტიმუ
ჟილ ვისენტე : რიუ ავე
ბენფიკა : ეშტორილი
ნასიონალი : ლეირია
გიმარაეში : ბელენენსეში
აკადემიკა : სპორტინგი
პორტუ : ბეირა მარი
ბრაგა : პენაფიელი
მორეირენსე : ბოავიშტა

**მე-14 ტური: 12 დეკემბერი**

მარიტიმუ : პორტუ
რიუ ავე : სეტუბალი
ლეირია : ჟილ ვისენტე
ბელენენსეში : ბენფიკა
ეშტორილი : ნასიონალი
პენაფიელი : გიმარაეში
სპორტინგი : ბრაგა
ბეირა მარი : მორეირენსე
ბოავიშტა : აკადემიკა

**მე-15 ტური: 19 დეკემბერი**

მარიტიმუ : რიუ ავე
ჟილ ვისენტე : ეშტორილი
სეტუბალი : ლეირია
ნასიონალი : ბელენენსეში
ბენფიკა : პენაფიელი
ბრაგა : ბოავიშტა
პორტუ : მორეირენსე
გიმარაეში : სპორტინგი
აკადემიკა : ბეირა მარი

## 2005 წელი

**მე-16 ტური: 9 იანვარი**

პორტუ : რიუ ავე
ეშტორილი : სეტუბალი
ლეირია : მარიტიმუ
ბელენენსეში : ჟილ ვისენტე
პენაფიელი : ნასიონალი
ბოავიშტა : გიმარაეში
მორეირენსე : აკადემიკა
სპორტინგი : ბენფიკა
ბეირა მარი : ბრაგა

**მე-17 ტური: 16 იანვარი**

რიუ ავე : ლეირია
სეტუბალი : ბელენენსეში
მარიტიმუ : ეშტორილი
ჟილ ვისენტე : პენაფიელი
ბენფიკა : ბოავიშტა
ნასიონალი : სპორტინგი
გიმარაეში : ბეირა მარი
ბრაგა : მორეირენსე
აკადემიკა : პორტუ

**მე-18 ტური: 23 იანვარი**

ბრაგა : აკადემიკა
გიმარაეში : მორეირენსე
ბენფიკა : ბეირა მარი
ჟილ ვისენტე : სპორტინგი
მარიტიმუ : ბელენენსეში
ნასიონალი : ბოავიშტა
სეტუბალი : პენაფიელი
რიუ ავე : ეშტორილი
ლეირია : პორტუ

**მე-19 ტური: 30 იანვარი**

პორტუ : ბრაგა
აკადემიკა : გიმარაეში
მორეირენსე : ბენფიკა
ბოავიშტა : ჟილ ვისენტე
ბეირა მარი : ნასიონალი
სპორტინგი : სეტუბალი
პენაფიელი : მარიტიმუ
ეშტორილი : ლეირია
ბელენენსეში : რიუ ავე

**მე-20 ტური: 6 თებერვალი**

გიმარაეში : ბრაგა
ნასიონალი : მორეირენსე
ბენფიკა : აკადემიკა
ჟილ ვისენტე : ბეირა მარი
მარიტიმუ : სპორტინგი
ლეირია : ბელენენსეში
სეტუბალი : ბოავიშტა
რიუ ავე : პენაფიელი
ეშტორილი : პორტუ

**21-ე ტური: 13 თებერვალი**

ბრაგა : ბენფიკა
პორტუ : გიმარაეში
აკადემიკა : ნასიონალი
ბეირა მარი : სეტუბალი
სპორტინგი : რიუ ავე
მორეირენსე : ჟილ ვისენტე
ბოავიშტა : მარიტიმუ
პენაფიელი : ლეირია
ბელენენსეში : ეშტორილი

**22-ე ტური: 20 თებერვალი**

ნასიონალი : ბრაგა
ბენფიკა : გიმარაეში
სეტუბალი : მორეირენსე
რიუ ავე : ბოავიშტა
ჟილ ვისენტე : აკადემიკა
მარიტიმუ : ბეირა მარი
ლეირია : სპორტინგი
ეშტორილი : პენაფიელი
ბელენენსეში : პორტუ

**23-ე ტური: 27 თებერვალი**

პორტუ : ბენფიკა
ბრაგა : ჟილ ვისენტე
მორეირენსე : მარიტიმუ
გიმარაეში : ნასიონალი
აკადემიკა : სეტუბალი
ბეირა მარი : რიუ ავე
სპორტინგი : ეშტორილი
ბოავიშტა : ლეირია
პენაფიელი : ბელენენსეში

**24-ე ტური: 6 მარტი**

ნასიონალი : ბენფიკა
სეტუბალი : ბრაგა
ჟილ ვისენტე : გიმარაეში
მარიტიმუ : აკადემიკა
რიუ ავე : მორეირენსე
ეშტორილი : ბოავიშტა
ლეირია : ბეირა მარი
ბელენენსეში : სპორტინგი
პენაფიელი : პორტუ

**25-ე ტური: 13 მარტი**

ბენფიკა : ჟილ ვისენტე
პორტუ : ნასიონალი
გიმარაეში : სეტუბალი
აკადემიკა : რიუ ავე
ბეირა მარი : ეშტორილი
ბრაგა : მარიტიმუ
მორეირენსე : ლეირია
ბოავიშტა : ბელენენსეში
სპორტინგი : პენაფიელი

**26-ე ტური: 20 მარტი**

ჟილ ვისენტე : ნასიონალი
მარიტიმუ : გიმარაეში
ლეირია : აკადემიკა
სეტუბალი : ბენფიკა
რიუ ავე : ბრაგა
ეშტორილი : მორეირენსე
პენაფიელი : ბოავიშტა
ბელენენსეში : ბეირა მარი
სპორტინგი : პორტუ

**27-ე ტური: 3 აპრილი**

პორტუ : ჟილ ვისენტე
ბენფიკა : მარიტიმუ
ნასიონალი : სეტუბალი
გიმარაეში : რიუ ავე
აკადემიკა : ეშტორილი
ბრაგა : ლეირია
მორეირენსე : ბელენენსეში
ბეირა მარი : პენაფიელი
ბოავიშტა : სპორტინგი

**28-ე ტური: 10 აპრილი**

სეტუბალი : ჟილ ვისენტე
მარიტიმუ : ნასიონალი
რიუ ავე : ბენფიკა
ეშტორილი : ბრაგა
ლეირია : გიმარაეში
ბელენენსეში : აკადემიკა
სპორტინგი : ბეირა მარი
პენაფიელი : მორეირენსე
ბოავიშტა : პორტუ

**29-ე ტური: 17 აპრილი**

პორტუ : სეტუბალი
ნასიონალი : რიუ ავე
გიმარაეში : ეშტორილი
ჟილ ვისენტე : მარიტიმუ
ბენფიკა : ლეირია
ბრაგა : ბელენენსეში
მორეირენსე : სპორტინგი
აკადემიკა : პენაფიელი
ბეირა მარი : ბოავიშტა

**30-ე ტური: 24 აპრილი**

მარიტიმუ : სეტუბალი
ლეირია : ნასიონალი
რიუ ავე : ჟილ ვისენტე
ეშტორილი : ბენფიკა
პენაფიელი : ბრაგა
ბელენენსეში : გიმარაეში
ბეირა მარი : პორტუ
სპორტინგი : აკადემიკა
ბოავიშტა : მორეირენსე

**31-ე ტური: 30 აპრილი**

პორტუ : მარიტიმუ
სეტუბალი : რიუ ავე
ნასიონალი : ეშტორილი
ჟილ ვისენტე : ლეირია
ბენფიკა : ბელენენსეში
გიმარაეში : პენაფიელი
აკადემიკა : ბოავიშტა
ბრაგა : სპორტინგი
მორეირენსე : ბეირა მარი

**32-ე ტური: 8 მაისი**

რიუ ავე : მარიტიმუ
ეშტორილი : ჟილ ვისენტე
ლეირია : სეტუბალი
ბელენენსეში : ნასიონალი
პენაფიელი : ბენფიკა
ბოავიშტა : ბრაგა
სპორტინგი : გიმარაეში
ბეირა მარი : აკადემიკა
მორეირენსე : პორტუ

**33-ე ტური: 15 მაისი**

რიუ ავე : პორტუ
მარიტიმუ : ლეირია
ჟილ ვისენტე : ბელენენსეში
სეტუბალი : ეშტორილი
ნასიონალი : პენაფიელი
გიმარაეში : ბოავიშტა
აკადემიკა : მორეირენსე
ბენფიკა : სპორტინგი
ბრაგა : ბეირა მარი

**34-ე ტური: 22 მაისი**

ლეირია : რიუ ავე
ეშტორილი : მარიტიმუ
პენაფიელი : ჟილ ვისენტე
ბელენენსეში : სეტუბალი
სპორტინგი : ნასიონალი
ბოავიშტა : ბენფიკა
მორეირენსე : ბრაგა
ბეირა მარი : გიმარაეში
პორტუ : აკადემიკა



# ფული სოკ-საც ანათებს

## ბი-ბი-სი ოლიმპიურ ჩინოვნიკებს დაეძებს

**მართალია**, ახლა მთელი ყურადღება ათენის ოლიმპიური თამაშებისკენაა მიმართული, მაგრამ არც 2012 წელს გასამართ ოლიმპიადას ივიწყებენ. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა იმ ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ხუთი ქალაქი-კანდიდატის შვიდკაციანი შემფასებელი კომისიის წევრთა და კიდევ სამი ექსპერტის ვინაობა, რომლებიც კანდიდატ ქალაქებს ეწვევიან. იქიდან დაბრუნებულნი შესაბამის მოხსენებას და რეკომენდაციას წარუდგენენ სოკ-ის წევრებს.

ამ კომისიას მეთაურობს ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 400 მეტრზე თარჯრბენში, 42 წლის მაროკოელი ელ მუტავაკელი.

კომისია, რომელშიც ბუნებრივია არც ერთი დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი არ არის, ხუთივე ქალაქს: ლონდონს, მადრიდს, მოსკოვს, ნიუ იორკსა და პარიზს მოინახულებს 2005 წლის დასაწყისში, რათა თითოეული მათგანის დოსიე გააანალიზოს. ეს დოსიები სოკ-ს 15 ნოემბრამდე უნდა ჩაბარდეს, ხოლო შემფასებელი კომისიის სათანადო ანგარიში 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის არჩევნებამდე ერთი თვით ადრე გამოქვეყნდება. ეს მოხდება 2005 წლის 6 ივლისს, როცა სინგაპურში სოკ-ის სესია გაიმართება.

კომისიაში ელ მუტავაკელის გარდა არიან ელს ვან ბრედა ვრიესმანი (ჰოლანდია), პოლ ჰენდერსონი, პატრიკ ჯარვისი (ორივე კანადა), მუსტაფა ლარფაუი (ალჟირი), ხოსე ლუის მარკო (არგენტინა), სერ მიან ნგი (სინგაპური) და სემ რამსამი (სამხრეთ აფრიკა).

კომისიის მერვე წევრს, რომელიც მოქმედი სპორტსმენი უნდა იყოს, ათენის ოლიმპიური თამაშების დასრულების მერე გამოაცხადებენ.

რაც შეეხებათ ექსპერტებს, მათ შორის არის ორი ავსტრალიელი: საიმონ ბალდერსტოუნი და ბობ ელფინსტოუნი, აგრეთვე შვეიცარიელი ფილიპ ბოვი.

რა თქმა უნდა, თითოეული მათგანი, სოკ-ის აზრით, უმწიკვლო რეპუტაციისაა და მათი შერჩევა ამანაც განაპირობა.

და ამ დროს ბრიტანეთის „ტაიმსი“ იუწყება, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი წევრი 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის შერჩევაში სოკ-ის ერთ-ერთი წევრი ქრთამს იღებდაო, თუმცა მის ვინაობას არ ასახელებს.

„ტაიმსის“ მტკიცებით, ბი-ბი-სი-ს ტელეარხის ჟურნალისტები ბიზნესმენთა სახელს ამოეფარნენ და შეეცადნენ სოკ-ის წარმომადგენელთა მოსყიდვას, რათა მათ 2012 წლის ოლიმპიადის სამასპინძლოდ ლონდონისთვის დაეჭირათ მხარი. ერთ-ერთმა სოკ-ელმა ცდუნებას ვერ გაუძლო და ქრთამის აღებას დათანხმდა.

იმასაც იუწყებიან, რომ ბი-ბი-სი ყოველივე ამასთან დაკავშირებით წარმოადგენს პროგრამას „თამაშების ყიდვა“.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# დოპინგზე ყველას შევამოწმებთ!

## პანიკა ოლიმპიურ გუნდებში

ATHENS 2004

**ათენის** ოლიმპიურ თამაშებზე, როგორც ამ ბოლო დროს გახდა ცნობილი, ყველა მონაწილეს ანტიდოპინგური კომისიის საცერში გაატარებენ. ამან მრავალი ქვეყნის ხელმძღვანელობა და თავად სპორტსმენებიც შეაფუცხუნა და ისინი წინასწარვე საკუთარი ინიციატივით იღებენ ანალიზებს.

ძალზე შეფუცხუნებულან ამერიკელებიც. პანიკაშია მსოფლიოს ექსრეკორდსმენი მძლეოსნობაში მორის გრინიც. მან აღიარა, რომ საკუთარ თავს ერთდროულად ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ლაბორატორიებში ამოწმებს და მისთვის გამოწერილ ვიტამინებსაც კი საგულდაგულოდ აკონტროლებს.

ამერიკელ მოცურავეთა ხელმძღვანელობამ ანტიდოპინგურ სააგენტოს შესამოწმებლად გაუგზავნა ენერგეტიკული პლასტირები, რომელიც ახლახანს ლონგ-ბიჩში გამართულ შესარჩევ შეჯიბრებაზე სტენფორდის უნივერსიტეტის მოცურავეებმა გამოიყენეს. უნივერსიტეტელ მოცურავეებს სხეულზე ალაგ-ალაგ მიწებებული ჰქონდათ სპეციალური პლასტირის ნაკუწები, რომლებიც მათი შემქმნელის დევიდ შმიდტის სიტყვებით, შეიცავს წყლის გასაფანტ ამინომჟავას, რაშიც არაფერი აკრძალული არ არისო.

— ეს სრულიად ახალი ტექნოლოგიაა. ჩვენი გამოგონება სპორტისთვის ძალზე ფასეულია — ამბობს დევიდ შმიდტი — ეს ათლეტებს საშუალებას აძლევს, გააუმჯობესონ საკუთარი შედეგები, რისთვისაც საჭირო აღარ არის ჯანმრთელობისთვის მავნე ნივთიერებების მიღება.“

სტენფორდის უნივერსიტეტის მოცურავეთა ნაკრების მწვრთნელის რიჩარდ კვიკის თქმით, ეს პლასტირები აკუპუნქტურის პრინციპით მოქმედებენ. ისინი მკერდის, მუხლების და სხვა ადგილების ნერვულ რეცეფტურულ ცენტრებს აღიზიანებენ, რაც სპორტსმენის გამძლეობას ზრდის. მისი ეფექტი 10 წუთს გრძელდება, მაგრამ ანტიდოპინგური სააგენტოდან მისი შემოწმების შესახებ ჯერ არაფერს იუწყებიან.



მორის გრინი ანტისადოპინგო რევიზიამ გვარიანად დააფრთხო

# ზემოთ აიხედეთ, რა დროს კანალიზაციაა

**ბერძნებს** რომ ჰკითხოთ, ტერორისტთა თავდასაცავად ოლიმპიური თამაშების დღეებში ისეთ ზომებს მივმართავთ, რომ მათ კანალიზაციიდანაც კი ამოვაძვრენთო.



საბერძნეთის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის გეორგიოს ვულგარაკისის სიტყვებით, ოლიმპიური ბაზები კარგა ხანია მათ კონტროლს ექვემდებარებიან. მინისტრმა დაათვალიერა საბერძნეთის დედაქალაქის ელინიკოს სანაპიროს ზოლი, სადაც ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა, აგრეთვე აფროსანთა ასპარეზობები გაიმართება. დათვალიერების შემდეგ მინისტრმა თქვა, პირადად დავრწმუნდი იმაში, რომ სპეცსამსახურის წარმომადგენლები ოლიმპიური ნაგებობების დაცვას ძალზე ყურადღებით ახორციელებენო. მისივე თქმით, აფეთქებათა სპეციალისტებს შეუმოწმებიათ ამ კომპლექსის ტერიტორიის ათობით ჰექტარი მონაკვეთი, რისთვისაც სპეციალური მოწყობილობები გამოუყენებიათ. მათ გამოუკვლევიათ ყურის ფსკერი, აგრეთვე იქით მიმავალი 15-კილომეტრიანი საკანალიზაციო მილები.

ჰოდა, ბერძნები ირწმუნებიან, აქ ტერორისტები ვერავითარ შემთხვევაში ვერ შემოაღწევენო.

არადა, მოგეხსენებათ, ერთმა ინგლისელმა ჟურნალისტმა ქალმა მშენებარე მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე, რომელსაც იმთავითვე გაძლიერებული დაცვა დარაჯობდა, ამას წინათ დაუბრკოლებლად შეაღწია. მეტიც, იქაურმა მუშებმა მას ექსკურსიამძღოლობაც გაუწიეს და ლუდითაც გაუმასპინძლდნენ.

მერე იყო და, ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიალის სცენარი, რომელიც მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, ასევე ინგლისელი ჟურნალისტებისთვის როგორღაც ხელმისაწვდომი აღმოჩნდა და მათაც ქვეყანას მოსდეს მისი შინაარსის დეტალები.

ამას ისიც დაემატა, რომ ახლახანს იმავე ოლიმპიურ სტადიონზე საბერძნეთის ტელევიზიამ ფარული კამერით გადაიღო თუ როგორ ამონტაჟებდნენ იქ ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ცერემონიალის დეკორაციებს. მათვე გადაიღეს იმ დეკორაციების ტრანსპორტირების კადრები სტადიონის მისადგომებთან, რაც წესით და რიგით დაცვას არ უნდა გამოჰპარვოდა.

საბერძნეთის ტელევიზიის გადაღებულ კადრებზე კარგად ჩანს ცხენების გიგანტური ფიგურები და ანტიკურ ქანდაკებათა სტილიზებული შუბები.

საბერძნეთის ტელევიზიამ შეაღწია ვითომდა საიმედოდ დაცული სტადიონის ტერიტორიაზეც და ფირზე აღბეჭდა მისი თაღების ირგვლივ მოწყობილი შადრევნები.

მოდი და ამის მერე ირწმუნე, რომ ათენში ყველაფერი დაცულია და ოლიმპიადას ხიფათი არ ემუქრება.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ათენი წარღვნის მოლოდინშია

**ათენის** ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს სანერვიულო და გულის გასახეთქი ამბები არელევათ: აქეთ აფეთქებები და ტერორისტული აქტების მოლოდინი, იქით სპორტული ბაზების, გზების, მიწისქვეშა გადასასვლელების მშენებლობათა მოსწრება-ვერმოსწრების პრობლემები.

თითქოს ეს ყოველივე ცოტა იყოო, მერე მათი მშენებლების, სამედიცინო პერსონალის, მძღოლებისა და რაგინდარა სფეროს წარმომადგენელთა გაფიცვების ტალღა აგორდა — ხელფასები მოგვიმატეთო.

და ამ დროს, ცუდი, ცუდი კი არა, საშინელი მეტეოპროგნოზიც გამოტყვრა.

საბერძნეთის ეროვნული მეტეოსამსახური ათენის ოლიმპიური თამაშების დღეებში ჯერ საშინელ სიცხეს, შემდეგ კი თავსხმა წვიმას, ქარიშხალსა და წყალდიდობას წინასწარმეტყველებს. სინოპტიკოსების პროგნოზით, 7 აგვისტოდან ათენში ძალზე დაცხება და საშუალო ტემპერატურა +35 გრადუსი იქნება, ხოლო აგვისტოს შუა რიცხვებში სიცხე 42 გრადუსზე ზემოთ აიწევს.

დიდია ალბათობა იმისა, რომ თვის ბოლოდან საბერძნეთში თავსხმა წვიმა და ქარიშხალიც იქნება, რაც ნიჩბოსანთა და აფროსანთა შეჯიბრებებს დიდ საფრთხეს შეუქმნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გალაქტიონის ლაითმოტივი: მანახეთ ნაკრები!



**აგერ, მერამდენე წელია, ქართული წყალბურთის სახეს მხოლოდ ჭაბუკ 18-წლამდელთა ნაკრები წარმოადგენს, წლები მიდის, ერთი თაობა იშლება, მეორე მოდის, შემდეგ ისიც იშლება და... მოკლედ, ეროვნული ნაკრები არ გვყავს. აბა, ნორმალური ქვეყანა რეზო ჩომახიძის დარ ვარსკვლავს დაკარგავდა? თუნდაც გალაქტიონ ლაითაძე ავიღოთ, რომელიც იტალიურ სერია დუეს „კატანიაში" კი თამაშობს, მაგრამ გუნდის გამოკვეთილი ლიდერია.**

**29 წლის ლაითაძე რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა თბილისში. სიცილიამოვლილ კაცს „ლაგუნა ვერეზე" შევხვდით და წარმოსახვაში მყოფი ეროვნული ნაკრების გარშემო გულახდილად ვისაუბრეთ, მაგრამ ჯერ „კატანიაზე" ვკითხეთ**

— შარშანდელის მსგავსად, წლეულსაც მე-8 ადგილზე გავედით. მიუხედავად იმისა, რომ ქვედა ლიგაა, თორმეტივე კლუბი საკმაოდ ძლიერია, ლეგიონერებიც მრავლად არიან და პრინციპში, ფინანსურადაც დიდი არაფერი განსხვავებაა ელიტარული ლიგის კლუბებთან. მაგრამ ისე არ გამიგოთ, თითქოს „კატანიაზე" უკეთეს გუნდში გადასვლაზე არ ვფიქრობდე.

— შარშანდელ სეზონში ბომბარდირთა დავაში მეხუთე იყავი. წლეულს რამდენი გოლი დაგიგროვდა?

— 50 ბურთი გავიტანე, რითაც ათ საუკეთესოს შორის მოვხვდი, თუმც 7 მატჩი ხელის ტრავმის გამო გამოვტოვე. საერთოდ, ამ სეზონში „კატანიას" ტრავმებმა დარია ხელი, თორემ კარგა ხანს მესამე ადგილზე ვიყავით და უძლიერესებში გადასვლის შანსიც გვქონდა. მერე ყველაფერი აირია. ჩემს გარდა ბელარუსი ლეგიონერიც დაშავდა, სათადარიგოებმა კი ვერ გაამართლეს.

— იტალიაში არ უკვირთ, ნაკრებში რომ არ თამაშობ?

— უკვირთ კი არა, როგორი წარმოსადგენია იტალიელისთვის, ქვეყანას ეროვნული ნაკრები რომ არ ჰყავს. სხვათა შორის, ეს გარკვეულ პრობლემებს მიქმნის, რადგან ნაკრების მოთამაშეს, მალტელიც რომ იყოს, მაინც სხვა თვალით უყურებენ. ისე, იტალიელები ძალიან თბილი ხალხია. მით უმეტეს, სიცილიელები, რომლებიც უცხოდ არ გაგრძნობინებენ თავს...

— ქართული წყალბურთის შესახებ თუ იციან რამე?

— მხოლოდ ლეგიონერების დონეზე. მშვენიერაძესა და ჩომახიძეს დიდი მოწიწებით ახსენებენ, ხოლო იქ ამჟამად მხოლოდ მე ვარ ქართველი. პრინციპში, იტალიელმა საქართველო სხვა მხრივ როგორ უნდა დაინახოს, ნაკრები ჩვენ არ გვყავს და...

— ეს საჭირბოროტო თემაა. რამდენიმე წელია, ყველას ნაცვლად სოსო მაისურაძის გაწვრთნილი 18-წლამდელები თამაშობენ. ეროვნული ნაკრების შექმნას კი არ დაადგა საშველი...

— თბილისში ჩამოსვლისთანავე დამახვედრეს ამბავი, დაფინანსების წყარო ვიპოვეთ და ნაკრები გვეყოლებაო. საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია ცდილობს და ვგონებ, რეალურადაც უნდა მოჩანდეს ეს საქმე. თუ ასე მოხდა, ერთ წუთსაც არ დავფიქრდები და ეროვნულ გუნდს შევეშველები. რად მინდა „კატანია", თუ ჩემს ქვეყანას არ გამოვადგები.

— ფედერაციაში ამბობენ, რომ ნაკრების შექმნას დიდი თანხა სჭირდება და ამჟამად ამის საშუალება მართლაც არ არის...

— სასწაული თანხა ნამდვილად არ სჭირდება. საჭიროა რაღაც მიზერი, რაც რამდენიმე ტესტ-მატჩის ჩატარებას და ერთი-ორ საზღვარგარეთულ ტურნირზე წასვლის საშუალებას მოგვცემს. უბრალოდ, ამ საქმეს ორგანიზება სჭირდება. როგორც გავიგე, თუ ჩვენი ჭაბუკები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე (სექტემბერში მალტაზე) ნორმალურ შედეგს აჩვენებენ, დაფინანსება უეჭველად იქნება. როდესაც სოსო მაისურაძის გუნდმა რუსეთის ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო, მიხეილ სააკაშვილი შეხვდა მათ და მას შემდეგ ეროვნული ნაკრების შექმნაზე რეალური საუბარი მიდის. ვნახოთ, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ალბათ, გვეშველება...

— თუ ასე მოხდა, ეგებ რეზო ჩომახიძემაც ითამაშოს საქართველოს ნაკრებში. ეს შენ უკეთ გეცოდინება...

— გააჩნია, რამდენად სერიოზულად გაკეთდება ნაკრები, ანუ ექნება თუ არა მას მომავალი. რეზო 31 წლისაა, ახლა ათენის ოლიმპიადაზე ითამაშებს და ვერ გეტყვი, შერჩება თუ არა სანაკრებო დონეზე თამაშის სურვილი. ჩომახიძის გარდა გვყავს საფრანგეთში მოთამაშე დავითიანი და ახალგაზრდების ლეგიონი რუსეთში — მანძულაშვილი, გეგელაშვილი... მართალია, მათი გუნდები (დინამო 2, ცსკა 2) მაღალი დონისა არაა, მაგრამ საქართველოში თამაშს ისევ იქ წასვლა სჯობია.

— ამ შემთხვევაში რამდენად ძლიერი ნაკრები გვეყოლება? შევძლებთ თუნდაც ევროპის საშუალო დონის გუნდებთან გატოლებას?

— ამაში ეჭვიც არ მეპარება. პოტენციის გათვალისწინებით, ევროპის B ლიგის ნაკრებები იოლად უნდა დავამარცხოთ. აბა, მალტამ, ბელარუსმა და მისთანებმა რა პრობლემა უნდა შეგვიქმნან. A ლიგაში გადასვლისას კი ფინალურ ეტაპზე გასვლაც შეიძლება. ქართველებს წყალბურთი სისხლში გვაქვს და სიმდიდრე არ უნდა დავკარგოთ, მაგრამ ჯერჯერობით რასაც ვუყურებ, ეს სპორტი არ არის. აგერ, დაუმთავრდათ ჭაბუკური ასაკი 1981, 1983 და 1985 წელს დაბადებულებს და რა უნდა ქნან? ზოგი „კოკა-კოლას" ქარხანაში მიდის ტვირთის საზიდად, ზოგიც ქუჩაში რჩება...

აი, როცა დაინტერესება იქნება, მოვლენ ეს ბიჭები აუზზე, ოფლს დაღვრიან ვარჯიშით და საქართველოს გამოადგებიან. ეს დასაწყისია, ხოლო „შუბის წვერი" ეროვნული ნაკრები უნდა იყოს, ურომლისოდაც ქვეყანაში წყალბურთი მკვდრად უნდა ჩათვალოთ.

— ბოლოს შენს საკლუბო მომავალზეც ვთქვათ. ზემოთ უკეთეს გუნდში თამაში ახსენე...

— სტამბოლის „იხტისასი" მეპატიჟება. ეს გუნდი თურქეთის ჩემპიონატში მუდმივად პირველ ოთხეულშია და დიდი შანსია, იქ გადავიდე. გარდა ამისა, საქართველოსთან ახლოს ვიქნები, იტალიაში მშობლები და ახლობლები ძალიან მენატრებოდნენ...

**ილია ნანობაშვილი**



# აქედან უნდა გავცუროთ!
## ქართველი ჭაბუკები სიკვდილის ჯგუფში

**საქართველოს** ჭაბუკ წყალბურთელთა გუნდი, რომელიც სასექტემბროდ მალტაში გასამართი ევროპის პირველობისთვის ემზადება, ხვალიდან სტამბოლში საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება.

გეხსომებათ, ჩვენმა წყალბურთელებმა ვარშავის საერთაშორისო ტურნირში ყველა მეტოქე დაამარცხეს, პოლონეთის პრეზიდენტის პრიზიც მოიპოვეს და მასთან ერთად საუკეთესო მეკარისა და ტურნირის ბომბარდირისთვის დაწესებული პრიზებიც.

ახლა რით დამთავრდება სტამბოლის ტურნირი, რომელიც მალტის ბატალიებისთვის მოსამზადებელი ეტაპია, ძნელი სათქმელია.

საქმე ისაა, რომ ტურნირის მონაწილენი ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი. ის ჯგუფი, რომელშიც საქართველოს ნაკრები გამოდის, მეორეზე მთელი თავით მაღლა დგას. მასში ჩვენების გარდა გაერთიანებულნი არიან სერბეთ-ჩერნიგორიის, რუმინეთისა და რუსეთის გუნდები, რომლებიც ერთად რომ არ მოხვედრილიყვნენ, ალბათ ამ ტურნირზე პირველ ოთხ ადგილს დაიკავებდნენ.

მეორე ჯგუფში თავი მოიყარეს: ბულგარეთის, ეგვიპტის, საფრანგეთისა და თავად თურქეთის გუნდებმა.

ნახევარფინალში ერთ ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდი მეორეს მეორეადგილოსანს შეხვდება.

დღეს ჩვენი ნაკრების მეტოქე სერბეთ-ჩერნიგორიის ნაკრები იქნება, მერე კი რუსეთისა...

ტურნირის დამთავრების შემდეგ ევროპის პირველობამდე საქართველოს ნაკრების წევრები სავარაუდოდ უკრაინის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბს უმასპინძლებენ და საკონტროლო შეხვედრას გამართავენ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**


## ქართული სპორტის ფოტოისტორია

ასე ჰქვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ახალ პროექტს, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით.

შეირჩევა, დამუშავდება, ალიწერება და ვებსაიტზე განთავსდება 5 ათასზე მეტი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ფოტო.

სათანამშრომლოდ ვიწვევთ ფოტორეპორტიორებს, კერძო კოლექციის მფლობელებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის გულშემატკივრებს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ფოტომასალა და მონაწილეობა მიიღოთ ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიის ფოტოარქივის შექმნაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის 42, ტელეფონები: 99 08 22, 99 94 09, 899 90 26 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაიკ ტაისონი: მუხლი ვიტკინე
# დენი უილიამსი: იტკინა კი არა, აშკანკალდა

**ერთ დროს** რკინის მაიკად წოდებული მილიონერის, ახლა კი ვალებში ჩაფლული უიღბლო პენსიონერი მოკრივე მაიკ ტაისონის ზეობის ხანა წლების წინ დასრულდა, გასულ შაბათს კი ლუისვილში ალბათ საბოლოო წერტილიც დაესვა. 38 წლის მსოფლიოს ექსჩემპიონი უტიტულო ბრიტანელმა დენი უილიამსმა ოთხ რაუნდში დაანოკაუტა და ფინანსური პრობლემების მოგვარების ბოლო გეგმაც ჩაუფუშა.

„კაციჭამია“ მოკრივის ბავშვივით ცემას კრივის მოყვარულებმა და თვით ტაისონის თავგადაკლულმა ფანებმაც ერთი ახსნა მოუძებნეს — მაიკი დაბერდა! მარჯვენა რომ ჩვეულად აღარ უჭრის, ვინც ბრძოლა ნახა, ყველა დარწმუნდებოდა, თუმც მისმა შტაბმა რინგზე პასიურობის და მარცხის უმთავრეს მიზეზად პირველი რაუნდის ბოლოს მიღებული მუხლის მძიმე ტრავმა დაასახელა. ამერიკელმა ლუისვილი ინვალიდის ეტლით დატოვა, მენეჯერ შელი ფინკელის თქმით, მარცხენა მუხლის მენისკის გამო. ამიტომაც იყო, მეორე რაუნდიდან მაიკი შენელებული კადრივით რომ მოძრაობდაო. გამარჯვებული ლონდონელი კი ტაისონის შტაბის მიზეზებს ერთობ გაულიზიანებია. უილიამსის აზრით, მუხლის ტრავმა ეშმაკური, თუმც არცთუ ნიჭიერად შესრულებული ფანდია. აგერ ბრიტანული „ინდეპენდიენტისთვის“ გაკეთებული მისი კომენტარიც — „ამხელა მოკრივე რომ ხარ, წაგებაც ღირსეული უნდა იცოდე. უსაფუძვლო მიზეზებით დიდ შეურაცხყოფას მაყენებენ. თუ მართლა ვერ მაფასებენ ჯეროვნად, მთელი სულით და გულით ვთავაზობ მაიკ ტაისონს კიდევ ერთ შანსს. სიამოვნებით დავუმტკიცებ ყველას, რომ შემთხვევით არ მომიგია. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, უფრო ადვილად ვიმარჯვებ.“

უილიამსის პრომოუტერი ფრენკ უორენიც ადასტურებს ტაისონისთვის მატჩრევანშის შანსის მიცემას, თუმც უილიამსისგან განსხვავებით, იგი უფრო შორს იყურება. ამ ერთი ბრძოლით ფრენკმა და დენიმ ერთად 200 ათასი დოლარი იშოვეს, პროფესიული კრივის საზომით ეს არცთუ დიდი ფულია. მაგრამ შემოსავალი მერე ნახეთ, ამ გამარჯვებას კიდევ რამდენიმე თუ მოჰყვა.

„ფული კარგია, თუმც მთავარი ჩვენთვის უმაღლესი ტიტულებია — ამბობს უორენი — ახლა მთავარი სამიზნე უკრაინელი ვიტალი კლიჩკოა, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონის ქამარი უნდა ჩამოვართვათ. ჩემი კლიენტის რომ არ მჯეროდეს, ამ სიტყვებს არ ვიტყოდი. დენი უილიამსი მომავალი ჩემპიონია.“

ლუისვილურ ბრძოლას მსოფლიოს ექსჩემპიონი ევანდერ ჰოლიფილდიც დასწრებია და მისი ყურისმკვნეტელის დამნოკაუტებლის ოსტატობით მოხიბლულა: „დენის დიდი მოკრივისთვის დამახასიათებელი არაერთი თვისება შევნიშნე. მთავარი კი ისაა, რომ სწრაფი ხელები აქვს და რინგზე ბრწყინვალედ მოძრაობს. 41 წლის კი ვარ, მაგრამ სიამოვნებით შევერკინებოდი, და ალბათ წარმატებითაც.“

ისევ ტაისონსა და კლიჩკოზე კბილების ამლესავი ბრიტანელი ჰოლიფილდის შეთავაზებასაც სიამოვნებით იღებს, აქაოდა, ერთი ვეტერანი უკვე შემომელახა და მის დღეში ახლა მეორე მიმქრალ ვარსკვლავსაც ჩავაგდებო.

ტაისონი კი ლუისვილიდან არიზონას შტატში ჩავიდა და გუშინწინ საოპერაციო მაგიდაზეც წამოწვა. ექიმის მტკიცებით, ტრავმა მოსალოდნელზე გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა. დაგლეჯილი მენისკი ოთხ ადგილას გადააბა და ოპერაციის შემდეგ ჟურნალისტებს აუწყა, დაახლოებით რვა კვირაში მუხლი 90 პროცენტით მორჩებაო.

**ოთარ მაღლაკელიძე**



მაიკ ტაისონი მეოთხე რაუნდში წაქცევას მუხლს აბრალებს



# ანდრე აგასის სხვისი ზურგი არ სჭირდება

მასტერსის სერია
ცინცინატი. ჰარდი.
საპრიზო 2,45 მილიონი €

**პირველი წრე**

**კარლოს მოია** (4, ესპანეთი) — ერვინდ პალმერი (ბრიტანეთი) 3:6, 7:5, 6:2; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — რაინერ შუტლერი (8, გერმანია) 6:3, 1:6, 6:4; **გასტონ გაუდიო** (9, არგენტინა) — ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 6:4, 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი** (10, ავსტრალია) — ალექს ბოგომოლოვი (აშშ) 6:2, 6:4; **ანდრე აგასი** (11, აშშ) — მერდი ფიში (აშშ) 4:6, 7:6 (7:3), 4:1 ფიშმა შეწყვიტა; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) 6:3, 6:0; **პარადორნ შრიჩაფანი** (15, ტაილანდი) — დავიდ ფერერი (ესპანეთი) 6:3, 5:7, 6:3; **უეინ ართურსი** (ავსტრალია) — ანდრეი პაველი (16, რუმინეთი) 7:6 (7:5), 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა** (17, არგ ენტინა) — რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 6:4, 4:6, 7:6 (7:3); **გუსტავო კუერტენი** (ბრაზილია) — იენ-ჰსუნ ლუ (ტაივანი) 6:4, 3:6, 6:3; **გრეგ რუზეცკი** (ბრიტანეთი) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 3:6, 6:3, 6:2

ანდრე აგასი არსად წასვლას არ აპირებს. მართალია, 34 წლისას მკლავი ძველებურად აღარ ერჩის და სვიანად აღარც ჩოგანი ექნევინება, მაგრამ ხამუშ-ხამუშ მაინც გაილაღებს ხოლმე. იმ დღეს კი სულაც მეტოქეც წაეხმარა, რომელსაც მისთვის ეგებ უპრობლემოდაც ეძლია, ზურგის ტრავმას მატჩი ნაადრევად რომ არ შეეწყვეტინებინა. არადა, მერდი ფიში ტურნირის შარშანდელი ფინალისტი იყო და წლეულს იმავის გამეორებას თუ არა, არც ძალიან ნაკლების გაკეთებას გეგმავდა.

ვაგლახ — ხსენებული ტრავმის გამო მან ტორონტოში კორტზე გასვლაც ვერ შეძლო, აგასისთან კი თუმც პირველი სეტი დამაჯერებლად მოითვალა, მეორის მიწურულს უკვე განძრევა უჭირდა. ბოლო ათი დღე სულ ზურგის ლოლიავში ვიყავი და მაინც არაფერი შეშველაო, ამბობდა მერე ფიში. აგასისთვის კი ეგებ სულ ერთიც იყო, როგორ მოხვდებოდა მომდევნო წრეში — ოღონდაც კი მოხვედრილიყო და მხოლოდ მისი ჩაუქი გარჯის შედეგად იქნებოდა თუ პეტოქის ტრავმის გამო, არ დაეძებდა. ეს იმიტომ, რომ ამ ტურნირს იგი აშშ-ის ღია პირველობისთვის უკანასკნელ რეპეტიციად და ფსიქოილაჯის შესამარაგებელ ბოლო შესაძლებლობად განიხილავს. იქნებ რამდენიმე მატჩი მაინც გადავაბაო, ნატრობდა ის იმ დღეს.

სხვაფრივ — იმ დღეს მოთამაშე ბობოლათაგან თითქმის ყველამ მოიგო. გამონაკლისი მხოლოდ მერვე ნომრად განთესილი რაინერ შუტლერი გახლდათ, ვინაც თვისტომ ტომი ჰაასთან ჩაფლავდა. მაგრამ, რაკიღა შუტლერის უხეირო ჩოგნაობა წლეულს უკვე აღარ გვაკვირვებს, ამიტომაც მის მომდევნო მარცხს — და თანაც ამ სეზონში უკვე ორი ტიტულის მომხვეჭ ტომი ჰაასისგან — მაინცდამაინც დიდ მოულოდნელობადაც ვერ მივიჩნევთ. თუმცა ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მათი მეხუთე შეხლა იყო და ჰაასმა შუტლერი მხოლოდ პირველად დაიმორჩილა.

კისკასად იბურთავა ლეიტონ ჰიუიტმა, რომელსაც თავისი შეყანყალებული ავტორიტეტისა და სარეიტინგო მდგომარეობის გამოსასწორებლად ძალზედ სჭირდება ერთი ზორბა ტურნირის მოგება მაინც. მან ფიორა ოფლის ხარჯზე აჯობა უსახელო ამერიკელ ალექს ბოგომოლოვს.

ამქრის პირველოსანი როჯერ ფედერერი და მის მიერ წინა კვირას ტორონტოს ფინალში ძლეული, ცინცინატობის შარშანდელი ჩემპიონი ენდი როდიკი მარაქაში გულშამ უნდა გარეულიყვნენ.

**ლევან ძელაურაძე**



ირაკლი ლაბაძემ ცინცინატიში თავ[illegible]სი პირველი შეხვედრა წუხელ შვ[illegible]დ იონას ბიორკმანთან პირველი ს[illegible]ეტის მოგების შემდეგ დათმო — 6:2[illegible], 2:6, 1:6

# ფეხბურთი

## ინტერტოტოს თასი 2004

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

*შალკე* (გერმანია) 3:0 ესბიერგი (დანია) (3:1)

1:0 პანკე (11), 2:0 ჰამიტ ალტინტოპი (54), 3:0 ასამოა (63)

## VODAFONE CUP 2004

ბოკა ხუნიორსი 5:2 ურავა რედსი

მანჩესტერ იუნ 1:0 პსვ ეინდჰოვენი

## აზიის თასი 2004

ნახევარფინალი

ბაჰრეინი 3:4დ.დ.(3:3) *იაპონია*

*ჩინეთი* 1:1დ.დ.(პენ.4:3, 1:1) ირანი

## BIRRA MORETTI CUP 2004

ინტერი 1:2 პალერმო

პალერმო 0:0 იუვენტუსი

ინტერი 0:1 იუვენტუსი

## KAPPA CUP 2004

ტოტენჰემი 1:2 ფეიენოორდი

ბეტისი 1:0 პარტიზანი

## ავსტრია

I დივიზიონი. III ტური

ალტახი 1:1 ვიორგლი

გრატკორნი 4:2 აუსტრია (ლ)

კაპფენბერგი 2:0 ლინცერი

რიდი 1:2 ლეობენი

უნტერზიბენბრიუნი 0:2 კერნტენი

## შვედეთი

ალსვენსკა. XIV ტური

გიოტებორგი 2:1 ჰელსინგბორგი

# ოქროს ფეხები

მონაკოში ერთი კარგი ღონისძიება გაიმართა — ოქროს ფეხის ამბავი. ეს ძველი ჰოლივუდური ხერხია, დიადთა ხელების ანაბეჭდების უკვდავყოფა. რა თქმა უნდა, როცა ანაბეჭდს დინო ძოფი ტოვებს, საქმეში ხელებიც უნდა გაერიოს. მიშელ პლატინისა და მხცოვან ალფრედო დი სტეფანოს კი ცხადია, ფეხები დაუფასეს.







REUTERS მონტაჟი

# ნოვა სკოტიას წყალში



REUTERS ფოტომონტაჟი

აი, ნამდვილი შეჯიბრი: ჰალიფაქსში, ნოვა სკოტიაში ბარე 40-მა ანძიანმა გემმა მოიყარა თავი, რათა ერთმანეთს გაეჯიბრონ. არა მაინცდამაინც ცურვასა და სისწრაფეში, არამედ სწორედაც რომ ანძიანი გემის მოვლასა და მართვაში.

ეს კოხტა ბარჯი კი რუმინული „მირცეაა", რომელიც შეჯიბრისთვის მზადაა.

# დაცვა

ჩინეთში უდიდესი საფეხბურთო ტურნირი მიმდინარეობს, აზიის სანაკრებო თასი. ნახევარფინალში იაპონელები ბაჰრეინელებს ხვდებიან, ჩინელები კი ირანს. ივანში სწორედ იაპონელები და სენსაციის მომხდენი არაბები ითამაშებენ: იქ პოლიციის, ჯარისა და დაცვის საგანგებო ნაწილებია თავმოყრილი. დიდი ნესრიგი და კვლავაც კომუნისტური ჩინეთი განუყოფელია.



REUTERS ისპანიანი

# აღარ ირბოლებს



ეჰ, ახლა არ იყო, რომ ამ კოხტა ცხენმა, სმარტი ჯონსმა კენტაკი დერბი მოიგო, უპირველესი ამერიკული რბოლა. ახლა კი ამბობენ, რომ სმარტი ჯონსი სამუდამოდ გამოეთხოვება იპოდრომს. ცხენს წინა ცაცია დაუზიანდა და უკვე მოხსნილია პენსილვანიის დერბიდან.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუზელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია აბაშუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge